ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი




სამშაბათი, 2 აპრილი, 2013 | №77 (6078) | ფასი: 30 თეთრი

# უჩა ნანუაშვილი: „ჩეჩენ ბოევიკებს შსს წვრთნიდა“

გვ.3



## ვანო მერაბიშვილი: „19 აპრილის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება“

გვ.5



## რაზე ისაუბრა ორმა მიტროპოლიტმა?!

გვ.3

## ირინა სარიშვილი: „ივანიშვილი რესპუბლიკური პარტიის მიერ ბლოკირებულია“

გვ.2





## ელიზბარ ჯაველიძე: „მესხეთელი თურქების ჩამოსახლება საქართველოს დაანგრევს“

გვ.5



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ქართული ოცნება მთავარ დაპირებას არ ასრულებს“

გვ.4

## ალექსანდრე ჟღენტი: „აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება ბევრს ძვირად დაუჯდება“

გვ.6





## ღარიბაშვილი და ნორლანდი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საძირკველს ჩაყრიან

გვ.2

ISSN 1987-9385

**2** ნათელაშვილმა ნაძალადევში გიორგი გუგავას კანდიდატურა წარადგინა

**6** მებაჟისთვის ქრთამის შეთავაზების ფაქტზე სომხეთის მოქალაქე დააკავეს

**4** მივიწყებული „აგვისტოს ხუთი დღე“

**7** სამართალდამცველებმა მარნეულში მომხდარი ყაჩაღობა გახსნეს

# ირინა სარიშვილი: „ივანიშვილი რესპუბლიკური პარტიის მიერ ბლოკირებულია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

*— ქალბატონო ირინა, ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი ინფორმაციულად ბლოკირებულია, რომ რესპუბლიკელები ძალიან დიდ გავლენას ახდენენ მასზე. ვრცელდება ხმები, რომ, არ არის გამორიცხული, რესპუბლიკელებმა და ნაციონალებმა ერთად ახალი უმრავლესობა შექმნან. თქვენი აზრით, მიზანმიმართულად მიმდინარეობს რესპუბლიკელებზე დარტყმის მიყენება თუ რეალურია ეს ყველაფერი?*



— არ ვიცი, მე ვერ გეტყვით, ვინ რა ხმებს ავრცელებს. ის, რომ, სავარაუდოდ, შეიძლება შეიქმნას ნაციონალურ-რესპუბლიკური უმრავლესობა, როგორც მმართველი ძალა და, შესაძლებელია, ეს არც ისე შორეულ მომავალში იყოს. ეს მოსაზრება პროგნოზის სახით მე კარგა ხნის წინ გამოვთქვი და რამდენჯერმე გავიმეორე. მიზანმიმართულადო და ვისგან უნდა ხდებოდეს მიზანმიმართულად? მე, პირადად, როცა რესპუბლიკელებს ვახასიათებ, ვახასიათებ ფაქტების მიხედვით და ამას ვამბობდი არჩევნებამდეც, მათ შორის თქვენი გაზეთის საშუალებითაც. ამიტომ პირადად ჩემთვის მოულოდნელი არაფერი ხდება. ერთადერთი მოულოდნელი ბევრისთვის შეიძლება იყოს ის, რომ ივანიშვილმა კი არ შეამცირა რესპუბლიკელების გავლენა, არამედ, ივანიშვილის უნებური თუ გააზრებული უმოქმედობით, ეს გავლენა იზრდება. აი, აქ მხოლოდ და მხოლოდ ამაზე შეიძლება იყოს საუბარი, იმიტომ რომ ძალიან ბევრი, არჩევნებამდეც, ვინც ქუჩაშიც გამოვიდა და ივანიშვილის ხათრით მისცა სააკაშვილის დამარცხებას ხმა ანუ ივანიშვილს მისცა ხმა, როგორც სააკაშვილის დამმარცხებელს. კულუარებშიც და კულუარებს მიღმაც საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ, უბრალოდ, ასე სჭირდებათ, დღეს ასეა საჭირო, ხოლო შემდეგ ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი ყველანაირ გავლენას დაკარგავს. ჩვენ ვნახეთ, რომ, მცირერიცხოვნების მიუხედავად, ამ ჯგუფმა გავლენა კი არ დაკარგა, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტების დაკავებით რეალურად გავლენა გაიძლიერა. რჩება რამდენიმე პოზიცია მათ მიერ ასაღები, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს სფერო, რასაც ისინი შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველი მეთოდით უკვე ახორციელებენ, იმიტომ რომ იმავე 8 თებერვლის შემდეგ ღარიბაშვილის მისამართით წასული საყვედურები, აგრეთვე ღარიბაშვილის ჟურნალისტებთან შეხვედრის ინიცირება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ – ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ ეს ერთ-ერთი მთავარი ფორპოსტი, რომელიც არ არის ნამდვილად რესპუბლიკური, ესეც ჩაბარდეს ისტორიას.

*— პროკურატურას რაც შეეხება, ეს რესპუბლიკურია?*

— არა მგონია. აქ არ არის ლაპარაკი დოკუმენტურად რესპუბლიკური პარტიის წევრობაზე. აქ არის საუბარი იმ იდეოლოგიის გაზიარებაზე, რომელი იდეოლოგიითაც პოლიტიკაში საერთოდ მოვიდა ეს ხალხი ნაციონალებთან ერთად. ისევ და ისევ მივდივართ თავისუფლების ინსტიტუტის იდეოლოგიასა და იმ ადამიანებზე, რომლებიც გამოვიდნენ ამ ინსტიტუტიდან, მოვიდნენ პოლიტიკაში და გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან ერთმანეთს ძალიან ბევრ რამეში. ასე რომ, ახალი არაფერი ხდება, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ივანიშვილი მაქსიმალურად გამოიყენებდა თავის შესაძლებლობებს და არ დაუშვებდა რესპუბლიკური პარტიის გავლენის გაზრდას. ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა არჩევნებამდე, რომ, აი, როდესაც ივანიშვილმა ფულის სერიოზული რაოდენობა ჩამოურიგა პარტიებს, ეს გააკეთა სწორედ იმიტომ, რომ შემდეგ მათი ვალდებულებისგან მოიხსნას თავი და საკუთარი პარტიითა და საკუთარი ძალით, ოცნება რასაც ჰქვია, იმით გავიდეს არჩევნებზე. არც მაშინ მოხდა ისე, როგორც ბევრი ამას ფიქრობდა და არც დღეს არ ხდება ისე, რომ ამ ადამიანების გავლენა შემცირდეს. მე ძალიან კარგად ვიცი და ამას უკვე ლოგიკით არ ვსაუბრობ, მე ვიცი ეს ფაქტობრივად, რომ ივანიშვილთან მოხვედრა და დალაპარაკება დღეს უჭირს აბსოლუტურად ყველას, მათ შორის კოალიცია ოცნების წარმომადგენლებსაც კი, იმიტომ რომ ის მთლიანად ბლოკირებულია რესპუბლიკური პარტიის მიერ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ივანიშვილი იმყოფება ინფორმაციულ ვაკუუმში, ეს უკვე სხვა საკითხია, იმიტომ რომ ივანიშვილს აქვს საშუალება, გაზეთები წაიკითხოს, ტელევიზიებს უყუროს და დაელაპარაკოს ადამიანებს სახლში მაინც, ხომ? ახლა გაზეთს არავინ დაუხევს და ტელევიზორს არავინ გამოურთავს. ამიტომ, თუ ივანიშვილი დღეს საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფება და მან არ იცის რეალური განწყობა და არ იცის, რა რეალობაში ცხოვრობს, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრ ხელისუფლებას ემართება და, რაც უფრო მაღალია თანამდებობა, უფრო სწრაფად ემართებათ ხოლმე, ეს ნამდვილად აღარ არის რესპუბლიკური პარტიის ან მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის ბრალი. ამით თვითონაც უნდა დაინტერესდეს, მით უმეტეს, რომ ეს ადამიანები რესპუბლიკური პარტიიდან არ გამოირჩევიან ისეთი მეგობრული თვისებებით და კონკრეტულად ისეთი თვისებებით, რომ მათთან ურთიერთობით აბსოლუტურად დაკმაყოფილებული იყოს ადამიანური თვალსაზრისით.

*— რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, ყველამ კარგად იცის, რომ ის ივანიშვილის მარჯვენა ხელად ითვლება. რამდენად დაუშვებს ივანიშვილი მისი გავლენის შესუსტებას?*

— ის, რომ ღარიბაშვილი ჯერ კიდევ თავის პოსტზეა და 8 თებერვალს არ გადააყოლეს რესპუბლიკელებმა, ალბათ, ნამდვილად არის ივანიშვილის დამსახურება, თუმცა, რამდენად დიდი ხნით მიანიჭებს ამას ივანიშვილი მნიშვნელობას, ეს ჩემთვის უცნობია. რესპუბლიკელებს გასდით ყველაფერი იმ სფეროში, რასაც ჰქვია პოლიტიკა, იმიტომ რომ ეს სფერო ივანიშვილს ნაკლებად აინტერესებს. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პოლიტიკური სფერო არ არის, ეს უნდა იყოს რეალური დასაყრდენი ზოგადად ხელისუფლების. რამდენად მოხერხდება ამის გაკეთება, რთული სათქმელია. საერთოდ, გეტყვით, რომ ძალიან საინტერესო პროცესები იწყება.

*— რა გაქვთ მხედველობაში?*

— თუნდაც იმავე საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით. მე არ გამოვრიცხავ და პირიქით უფრო მგონია, რომ რესპუბლიკელების კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე ან რომელიმე სხვა რესპუბლიკელი, როგორც ჩანს, აქტუალური თემა აღარ არის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, შესაძლებელია, რაღაცა სხვა მიზეზები არსებობს. ჩვენთვის ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ პოსტზე საკუთარი ამბიციები და მისწრაფებები აქვს ბევრ სხვა ადამიანს და მათ შორის ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ ასეთი ტიპის კანდიდატურა, მოსწონს ვინმეს ნინო ბურჯანაძე თუ არ მოსწონს, რესპუბლიკელებისთვის იქნება აბსოლუტურად მიუღებელი. თუ ბურჯანაძეს ლობირებს სერიოზული ძალა, უკან მდგომ ძალაზეა აქ საუბარი, თუ ასეთი ძალა ლობირებს, მაშინ, რა თქმა უნდა, ივანიშვილს ექნება გარკვეული პრობლემები, იმიტომ რომ, ვინც არ უნდა ლობირებდეს ნინო ბურჯანაძეს, რესპუბლიკური პარტია ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას არ დათანხმდება. მე არ გამოვრიცხავ, რომ სალომე ზურაბიშვილის ჩამოყვანა საჭირო გახდა სწორედ ნინო ბურჯანაძის საპირწონედ.

*— სალომე ზურაბიშვილი ამ შემთხვევაში რესპუბლიკელების კანდიდატი იქნება?*

— არა, რესპუბლიკელებისთვის, უბრალოდ, ზურაბიშვილი უფრო მისაღები იქნება, ისიც მიუღებელია, მაგრამ უფრო მისაღები იქნება ვიდრე ბურჯანაძე, რომელიც კატეგორიულად მიუღებელია რესპუბლიკელებისთვის.

*— ირაკლი ალასანიას რაც შეეხება, მასაც რესპუბლიკელებმა გაუფუჭეს საქმე ივანიშვილთან?*

— გაფუჭება, რა თქმა უნდა, შეუძლიათ, მაგრამ ალასანიაზე თავიდანვე იყვნენ რესპუბლიკელები უარყოფითად განწყობილნი. მათ რომ ერთმანეთი არ უყვარდათ, ეს ისედაც გასაგები იყო. ალასანია როგორც კი თავდაცვის მინისტრად დანიშნა ივანიშვილმა, იქ უკვე გასაგები იყო პირადად ჩემთვის, რომ ალასანიას მზე თუ უკვე არ ჩაესვენა, ყოველ შემთხვევაში, ჩასვენების გზაზეა. ეს უნდა დავუკავშიროთ მის სატელეფონო ჩანაწერს არჩევნებამდე გამოქვეყნებულს მხოლოდ თუ ამ ჩანაწერს დამატებული რესპუბლიკელების აქტივობა, არ ვიცი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, კავშირი მის განზე გაწევასთან თვითონ რესპუბლიკელებს აქვთ. საერთოდ, თქვენ თუ დააკვირდით, იმ სატელეფონო ჩანაწერებში, რომელიც არჩევნების წინ გამოქვეყნდა, არც ერთი რესპუბლიკელი არ ფიგურირებდა და ესეც ძალიან საინტერესოა... იქ ფიგურირებდა ყველა დანარჩენი, გარდა რესპუბლიკელებისა და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა ადამიანს, რომ რესპუბლიკელებმა არ იციან ტელეფონის გამოყენება.

*— ქალბატონო ირინა, რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებსა და სავარაუდო კანდიდატს, ძირითადად ალბათ ამაზე გადაერთვება საზოგადოების ყურადღება. თქვენი აზრით, რა პროცესებს უნდა ველოდოთ? შიგნით კოალიციაში მოხდება დაპირისპირება კანდიდატებთან დაკავშირებით?*

— შესაძლებელია, რომ დაპირისპირებაც მოხდეს, თუმცა მე ერთი რამის მიმართ მინდა საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ეს თემა, რა თქმა უნდა, წინა პლანზე წამოიწევს, ძალიან ბევრი გადაერთვება ამაზე ფიქრზე და ამაზე კამათზე და ამასობაში არ გაძვრეს, არ გავიდეს ისეთი საშიში თემა და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის არ დაგვრჩეს ყურადღების მიღმა, როგორიც არის, ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლების გეგმები და დამოკიდებულება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე. მე ამას შემთხვევით არ ვამბობ. ცნობილია უკვე ზაქარეიშვილის ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, რომ სამმა მხარემ უნდა მოილაპარაკოს. მე შეგახსენებთ ჩვენ მიერ ჯერ კიდევ არჩევნებამდე სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც ზონდირებულ თემას, რომ ეგებ საქართველოსთვის უკეთესი იყოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თვითონვე აღიაროს ამა თუ იმ ფორმით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ჩვენ ამაზე არჩევნებამდე ბევრად ადრე გავაკეთეთ განცხადება, რომ ასეთი რამ მოსალოდნელია. ნელ-ნელა ამისკენ ნაბიჯები გადაიდგა. ჯერ გადაიდგა აგვისტოს ომის დროს, როდესაც სააკაშვილმა მიიღო მონაწილეობა წინასწარ დაგეგმილ სცენარში, სადაც ომი ქართველებს უნდა წაეგოთ და ამ წაგებული ომით უნდა მომხდარიყო შემდგომი ნაბიჯების გამართლება. ამის შემდეგ იყო გადადგმული კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, საზოგადოებისთვის არცთუ ისე საინტერესო, სუფთა იურიდიული თვალსაზრისით ამ საქმისთვის „ძალიან საჭირო“ ნაბიჯები. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ უკვე სამი მხარის მოლაპარაკებაზეა საუბარი, თითქოს აქ სამი ქვეყანა უნდა დაელაპარაკოს ერთმანეთს. ეს პროცესი არაფრით არ შეიძლება დარჩეს საზოგადოების ყურადღების მიღმა, მით უფრო, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც პოლიტიკურ გავლენას ახდენს და პოლიტიკურად მართავს სიტუაციას, ის, რაც ივანიშვილმა არც იცის და არც აინტერესებს, ეს არის რესპუბლიკური პარტია. რესპუბლიკური პარტიის პლატფორმაში კი წლების განმავლობაში პირდაპირ დევს მაქსიმალური დამოუკიდებლობის აღიარება ამ ტერიტორიების და არა მხოლოდ ამ ტერიტორიების. იქ ლაპარაკია სამცხე-ჯავახეთზეც და შემთხვევითი არ არის ეს რატიფიკაციის საკითხიც სომხურ ენასთან დაკავშირებით. სწორედ მათი პარტიის ინიციატივაა. უბრალოდ, მე ძალიან ვწუხვარ, როცა ხალხისთვის უფრო საინტერესოა ხოლმე, როცა კონკრეტულ სახელებსა და გვარებზე მიდის დავა და ომი, მით უმეტეს, როცა საპრეზიდენტო კანდიდატს ეხება საქმე და აღარ უყურებენ იმას, მომავალ პრეზიდენტს რამე უფლებამოსილება ექნება თუ არ ექნება. ამ დროს ისეთი საკითხი, რომელიც მერე სახელითა და გვარით ვერ შეიცვლება და რომელიც არ შეიძლება, ყურადღების მიღმა დარჩეს, შეიძლება რეალურად დაგვრჩეს უყურადღებოდ. ასეთ საფრთხეებს მე სააკაშვილის დროსაც ვხედავდი, უბრალოდ, დროს მოაქვს შემდგომი ეტაპების აუცილებლობა.

## ნათელაშვილმა ნაძალადევში გიორგი გუგავას კანდიდატურა წარადგინა

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, გუშინ ნაძალადევის მაჟორიტარ კანდიდატად გიორგი გუგავა წარადგინა.

ნათელაშვილის განცხადებით, რომელიც მან დღეს სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა, გიორგი გუგავა მაჟორიტარობისთვის იდეალური კანდიდატია. მანვე, ყველა პოლიტიკურ ძალას საკუთარი კანდიდატურის მოხსნისკენ მოუწოდა.

„გიორგი გუგავას დიდი წარდგენა არ სჭირდება, ის არის ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი საქართველოში, რომელსაც არ უბენია პარტიიდან პარტიაში და ლიდერიდან ლიდერთან. მე მოვუწოდებ ყველა კანდიდატს ოპოზიციიდან, მოხსნან საკუთარი პერსონები გიორგი გუგავას სასარგებლოდ. ერთად დავამარცხოთ ნაცური ოცნება“, – განაცხადა ნათელაშვილმა.

ნიუსპრესი

## ღარიბაშვილი და ნორლანდი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საძირკველს ჩაყრიან

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, დღეს, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადგურ „სუფსა“-ს ტერიტორიაზე, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიას დაესწრებიან.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საზეიმო ცერემონიას მისასალმებელი სიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრი გახსნის.

დღესვე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე, საინჟინრო გემთსარემონტო სახელოსნოს გახსნის ცერემონიაც გაიმართება, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი დაესწრებიან.

ღონისძიება „სუფსას“ ტერიტორიაზე 10:40 საათზე, ფოთში კი 12:10 საათზე გაიმართება

ნიუსპრესი

## შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე უკრაინის დელეგაციას შეხვდა

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილე ლევან იზორია უკრაინის, ნიკოლაევის ოლქის დელეგაციას შეხვდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლაევის ოლქის საოლქო საბჭოს თავჯდომარე იგორ დიატლოვი, ქალაქების – ნიკოლაევისა და პერვამაისკის ხელმძღვანელი პირები, აგრეთვე ნიკოლაევის ოლქში მოღვაწე ბიზნესმენები (მათ შორის, საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მსხვილი იმპორტიორები) და უკრაინული მედიის წარმომადგენლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა დელეგაციის წევრებს სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნეს.

შეხვედრაზე ნიკოლაევის საოლქო საბჭოს თავჯდომარე იგორ დიატლოვმა აღნიშნა, რომ საქართველოში ეს მათი პირველი, გაცნობითი სახის ვიზიტი იყო. მან შინაგან საქმეთა მინისტრსა და მინისტრის მოადგილეს მაღალი დონის შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება. მან სურვილი გამოთქვა, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა დანაშაულთან ბრძოლის საკუთარი გამოცდილება უკრაინელ კოლეგებს გაუზიარონ და უკრაინაშიც გატარდეს მსგავსი რეფორმები, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გატარდა და დღემდე მიმდინარეობს.

სამინისტროში ვიზიტის დასარულს, დელეგაცია თბილისის პოლიციის ერთ-ერთი რაიონულ განყოფილებას ესტუმრა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რაზე ისაუბრა ორმა მიტროპოლიტმა?!

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე დავით ზალკალიანმა ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამინისტრო ინფორმირებული იყო 29 მარტს სოჭში გამართული შეხვედრის შესახებ.

საუბარია აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის, რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსის, მიტროპოლიტ ილარიონისა და ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმეს შეხვედრის შესახებ.

— ამ შეხვედრის შესახებ ინფორმირებული ვართ, მაგრამ ეს საპატრიარქოს პრეროგატივაა. აღნიშნული კონსულტაციები რუსეთის საპატრიარქოსთან ერთად მიმდინარეობდა. შეხვედრის დეტალები ჩვენთვის ცნობილი არ არის და, შესაბამისად, არ ვიცით, როდის დაიგეგმა კონსულტაციების მომდევნო რაუნდი, — განაცხადა ზალკალიანმა.

დავით ზალკალიანმა საგარეო უწყების კიდევ ერთი პოზიცია დააფიქსირა. საგარეო საქმეთა სამინისტრო თურქეთს საბავშვო ფესტივალზე აფხაზეთის დამოკიდებულ სახელმწიფოდ მონაწილეობის საკითხის გამოსწორებას მოსთხოვს.

როგორც ცნობილია, თურქეთში 23 აპრილს დაგეგმილია საბავშვო ფესტივალი, სადაც ოკუპირებული აფხაზეთი ცალკე სახელმწიფოდ მონაწილეობს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, თურქეთში საქართველოს საელჩომ უკვე მიიღო ინსტრუქცია, თუ როგორ იმოქმედოს. ზალკალიანის განცხადებით, ისინი თურქეთის ოფიციალურ პირებს საქმის კურსში ჩააყენებენ და მოითხოვენ, რომ აღნიშნული გამოსწორებულ იქნეს.



— ამის შესახებ ჩვენთვის უკვე ცნობილია და თურქეთში საქართველოს საელჩომ ინსტრუქციები უკვე მიიღო. ასევე თურქეთის საელჩოდან შესაბამისი დეპარტამენტი ახსნა-განმარტებას მიიღებს. ჩვენ თურქეთის ოფიციალურ პირებს ამ საკითხზე ჩვენს პოზიციას მივაწვდით და მოვითხოვთ, რომ ეს გამოსწორებულ იქნეს, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თურქეთის პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ჭოროხის აუზში კაშხლის მშენებლობა ქართული კულტურის სამ ძეგლს დატბორვის საფრთხეს უქმნის. მათ შორისაა პარხალი და ოთხთა ეკლესია.

ზალკალიანის განმარტებით, აღნიშნული საკითხი საქართველო-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობების ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ თემაზე მხარეებმა თურქეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ახმედ დაუთოღლუს ვიზიტების დროს იმსჯელეს.

— თურქეთის მხარის ყურადღებას იქ არსებულ ქართული კულტურის ძეგლებზე მუდმივად ვამახვილებთ. მათი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება თურქეთს აღებული აქვს. იმედი გვაქვს, რომ ის საქართველოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას პირუთვნელად დაიცავს, — აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

მიიღებს თუ არა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას საქართველო? ეს საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სოჭის ოლიმპიადაში საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. მიუხედავად პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებისა, როგორც გუშინ გაირკვა, სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მთავრობას ჯერ მიღებული არ აქვს.

— იყო პოზიცია, რომ საქართველო სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით ბოიკოტს არ გამოხატავს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. რა ფორმით მიიღებს საქართველო სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას, მთავრობა უახლოეს მომავალში გააჟღერებს თავის პოზიციას, — განაცხადა ზალკალიანმა.

# უჩა ნანუაშვილი: „ჩეჩენ ბოევიკებს შსს წვრთნიდა“

ნათია ხურცილავა

სახალხო დამცველმა ყოველწლიური ანგარიში სპეციალურ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნო. ანგარიში მოიცავს 2012 წელს ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც პარლამენტში უკვე შევიდა.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, გასულ წელს პენიტენციურ სისტემაში 67 პატიმარი გარდაიცვალა და გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 44 წელი იყო. სახალხო დამცველის განცხადებით, პატიმართა გარდაცვალება „ციხის სკანდალამდეა“ დაფიქსირებული და ეს ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

— გასულ წელს პატიმართა რაოდენობით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში, — აცხადებს ნანუაშვილი.

ომბუდსმენის განცხადებით, გასული წლის მარტიდან მიმდინარე წლის მარტის ჩათვლით პატიმართა რაოდენობა 12 ათასით შემცირდა:

— ჩვენ მივესალმებით ნულოვანი ტოლერანტობის შეცვლას უფრო ლიბერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობით, — აღნიშნავს სახალხო დამცველი.

ანგარიშში, ნანუაშვილის განცხადებით, ასახულია წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული დარღვევები, მათ შორის საუბარია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან გამოვლენილ ქმედებებზე საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, გასულ წელს არაერთი ფაქტი დაფიქსირდა ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების მიმართ დარღვევების კუთხით.

— გასული წელი ასევე გამოირჩეოდა მედიასაშუალების წარმომადგენლების მიმართ უფლებების საკმაოდ უპრეცედენტო დარღვევების სიმრავლით. არაერთი ფაქტი იქნა დაფიქსირებული ამ მიმართულებით, რისი ძირითადი მიზეზიც დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდი იყო. ასევე გამოვლინდა ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის არაერთი ფაქტი, — განაცხადა სახალხო დამცველმა.

სახალხო დამცველმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა იმ ადამიანებზე, რომლებმაც სახელმწიფოს საკუთარი ქონება აჩუქეს. საუბარია 9 ათას მოქალაქეზე, რომლებიც ახლა მთავარ პროკურატურაში ჩივიან.

— ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სამწუხაროდ, მართლმსაჯულებაში კვლავ სერიოზული პრობლემები არსებობს. ყველაზე პრობლემურ სფეროდ კვლავ რჩებოდა სისხლის სამართალწარმოება. პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ მოქალაქეების მხრიდან უკიდურესად გაიზარდა მიმართვები სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. მთავარ პროკურატურაში 18 ათასზე მეტი განცხადებაა შესული არჩევნების შემდეგ. 9 ათასზე მეტი საქმე საკუთრების უფლებას ეხება. საუბარია მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოსთვის ნებაყოფლობით საკუთარი ქონების ჩუქების საეჭვო ფაქტებზე. ძალიან მალე უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც გადახედავს აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, — აცხადებს უჩა ნანუაშვილი.

ანგარიშში ასევე ასახული იქნება თენგიზ გუნავას დაკავების საქმე, რომელიც, ომბუდსმენის თქმით, პროცედურული დარღვევებით განხორციელდა. ანგარიშში ასევე ასახულია ბიზნესმენების მიერ სახელმწიფოსთვის ქონების ნებაყოფლობით ჩუქების ფაქტებზე დაფიქსირებული დარღვევები.

სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის შეფასებით, არჩევნების შემდეგ მთელ რიგ სფეროებში ადამიანის უფლებების სერიოზული გაუმჯობესება შეინიშნება.

— გასული წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რამდენადაც მოხდა პირველად დამოუკიდებლობის შემდეგ ხელისუფლების შეცვლა არაძალადობრივად, არჩევნების გზით და, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდებოდა გასული წელი. ანგარიშში არის შესული ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს. რა თქმა უნდა, ჩვენ შევეხეთ და დეტალურად არის ანგარიშში გაშლილი ცნობილი ციხის კადრები, წამების, არაჰუმანური მოპყრობის ფაქტები, რომელსაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა მიღებული და ამის შესახებ არის ძალიან დეტალურად ნახსენები. გასულ წელს სასჯელაღსრულების სისტემაში გარდაიცვალა 67 პატიმარი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. გარდაცვალების დიდი ნაწილი სწორედ ციხის სკანდალამდეა დაფიქსირებული, — განაცხადა ნანუაშვილმა გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, ანგარიში ეხება უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს და მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის ძირითად ტენდენციებს საქართველოში.

— არჩევნების შემდეგ მთელ რიგ სფეროებში ადამიანის უფლებების სერიოზული გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა, ამავდროულად, გამოიკვეთა არაერთი მიმართულება, სადაც სერიოზული პრობლემები ფიქსირდება. ანგარიშის დიდი ნაწილი ეთმობა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაწესებულებებში და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზს. ანგარიშში დეტალურად არის საუბარი საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე და გაანალიზებულია სხვადასხვა ხასიათის უფლებადარღვევები. ანგარიში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით შესწავლილი, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაში გამოვლენილ პროცესუალურ დარღვევებს. კერძოდ, თენგიზ გუნავას, ბაჩანა ახალაიას, გიორგი კალანდაძის, დავით ახალაიასა და სხვა პირთა საქმეები, რომელთა შესახებ საკუთარი რეკომენდაციები საქართველოს სახალხო დამცველმა უკვე გადაუგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას.



გუშინ პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ სახალხო დამცველი ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს.

როგორც უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სახალხო დამცველი სწავლობს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებულ მოვლენებს, რაზეც სპეციალური ანგარიში მომზადდება. მიუხედავად ამისა, საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად ტენდენციებზე, რომელიც ამ პერიოდში გამოიკვეთა. საპარლამენტო ანგარიშში ცალკე თავი აქვს დათმობილი 2012 წლის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტებს, რაც ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენდა. სახალხო დამცველი ასევე ხაზს უსვამს საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის საკმაოდ არასასურველ ტენდენციას. 2012 წელს გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენდა, შესაბამისად, იგი, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება იყო. 2012 წელი, ამავდროულად, გამოირჩეოდა მედიასაშუალებების წარმომადგენელთა უფლებების დარღვევების უპრეცედენტო სიმრავლით. აღნიშნულის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდი წარმოადგენდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევისა და ხელის შეშლის მრავალი შემთხვევა შეისწავლა. ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ვინაიდან პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ მოქალაქეების მხრიდან უკიდურესად გაიზარდა მიმართვები სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. საანგარიშო პერიოდში ასევე დაფიქსირდა შეკრება-მანიფესტაციის დროს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის რამდენიმე ფაქტი, არაერთხელ დაირღვა ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური უფლება საჯარო დაწესებულებების უფლებამოსილი პირების მიერ. 2012 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა, თუმცა არასასურველ ტენდენციად ჩამოყალიბდა რელიგიური შეუწყნარებლობა, სიძულვილის ენის გამოყენება და ქსენოფობია. ანგარიშში ასახულია ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს სექსუალური უმცირესობების უფლებების კონკრეტული დარღვევების შესახებ სახალხო დამცველისათვის არ მოუმართავთ, მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით არსებობს გარკვეული პრობლემები, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს. წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის განხილული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ფართო სპექტრი: საკუთრების უფლება, სათანადო საცხოვრისის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, შრომის უფლება საჯარო სამსახურში, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეკომიგრანტთა უფლებები. 2012 წლის განმავლობაში ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ არაერთი ცვლილება განხორციელდა, თუმცა ამ მიმართულებით კვლავ აუცილებელია სისტემური და შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ანგარიშში დიდი ადგილი ეთმობა ქვეყანაში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას, მათ ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში, ასევე, ტრადიციულად, მოცემულია ოჯახში ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობაც. საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოს მიერ რიგი ღონისძიებების გატარებით, რაც, წინა წლებთან შედარებით, პოზიტიური ტენდენციაა.

ყოველწლიურ ანგარიშში წარმოდგენილია სახალხო დამცველის მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისადმი, რომელთა მიზანიც ამ ანგარიშში აღწერილი დარღვეული უფლებების აღდგენა და უფლებადარღვევების პრევენციაა.

გუშინ უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს ლოპოტას ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა. სახალხო დამცველი ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმის გამოსაძიებლად სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს. უჩა ნანუაშვილის თქმით, საქმეში უამრავი კითხვის ნიშანია და შესაძლოა საკმაოდ შემაძრწუნებელი ფაქტებიც გამოიკვეთოს.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაცია განსხვავებულია ოფიციალურად გაჟღერებული ვერსიისგან, თითქოს ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფი საქართველოში კავკასიიდან შემოვიდა:

— ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია კონფიდენციალურმა წყაროებმა, გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა. 120 ჩეჩნური წარმოშობის მოქალაქე საქართველოში ჩამოვიდა გასული წლის გაზაფხულზე. ეს ყველაფერი ხდებოდა ორგანიზებულად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან, ხდებოდა თბილისში სპეციალურად მათთვის ბინების დაქირავება, ამ ჯგუფის აღჭურვა, მომზადება და მათი გამოყენება. ამ ადამიანების სურვილი იყო, გადასულიყვნენ ჩეჩნეთში, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ ძალოვანი უწყებები ჩეჩენ მეომრებს ე.წ. კორიდორს ჰპირდებოდნენ.

უჩა ნანუაშვილის თქმით, ვაზიანისა და შავნაბადის სამხედრო ბაზაზე ხდებოდა მათი წვრთნა, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები მათ უფორმებდნენ იარაღს და აძლევდნენ სხვადასხვა დოკუმენტაციას:

— მე მინდა გავახმოვანო ერთი ფაქტი ასლამ მარგოშვილზე, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად ჩეჩენი და რომელიც დაიღუპა სპეცოპერაციის დროს. მასზე შსს-ს მიერ იყო გაცემული ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის მოწმობა გასული წლის 23 ივლისს, სპეცოპერაციამდე ერთი თვით ადრე. ეს ფაქტი ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, ასევე ის, რომ მათ წვრთნაში მონაწილე ინსტრუქტორები, ჩოხელი და წიკლაური, ამ ადამიანებთან ერთად დაიღუპნენ, — აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

— რაც შეეხება გარდაცვლილებს, მოგეხსენებათ, სპეცოპერაციის დროს 11 ადამიანია გარდაცვლილი. ამ ადამიანების უმეტესობა იმყოფებოდა გლდანის ციხის ტერიტორიაზე. ოჯახის წევრებს მიცვალებულთა გვამები გადასცეს გლდანის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე. რატომ იყვნენ ეს ადამიანები გლდანის ციხეში, ეს კიდევ ერთი კითხვის ნიშანია, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეში იკვეთება ყოფილი მაღალჩინოსნების სახელები, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე და ამავე უწყების მაღალჩინოსნები სანდრო ამირიძე და ზურაბ მაისურაძე.

უჩა ნანუაშვილი აცხადებს, რომ საქმეში ბევრი კითხვა და შემაძრწუნებელი ინფორმაციაა, რისი გამოძიებაც აუცილებელია.

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: „ქართული ოცნება მთავარ დაპირებას არ ასრულებს“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

***— ბატონო ჰამლეტ, როგორია თქვენი შეფასება ახალი ხელისუფლების ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ, ამართლებს თუ არა ხელისუფლება ხალხის იმედებს?***

— არის გარკვეული ძვრები, მაგრამ, რომ გითხრათ, ძალიან დამაიმედებელიო, ასეთი რამ არ ჩანს. დაპირებები საკმაოდ მყვირალა და გამოკვეთილი იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს ტენდენცია იმისა, რომ რაზეც იყო ლაპარაკი, ის შესრულდება, თუნდაც ტარიფების შემცირება, ის, რაც გაკეთდა ახალი ხელისუფლების მიერ, ძალიან უმნიშვნელოა და ნაკლებად წაადგა ხალხს. იგივე შეიძლება ითქვას მომატებულ პენსიასთან დაკავშირებითაც, ეს სათქმელად ხელისუფლებისათვის რაღაცას ნიშნავს, მაგრამ სახრავად ამ ხალხისათვის აბსოლუტურად არაფერია, ყოველდღიურად მატულობს სხვადასხვა სახის გადასახადი, მატულობს ფასები პროდუქციაზე. თუნდაც ავიღოთ ფეიბოქსებზე დაწესებული გადასახადი. ეს, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო გადასახადია ბიძინა ივანისვილის, და კახი კალაძისა და იმ ბობოლებისთვის, რომლებიც პარლამენტში არიან თავშეყრილი, მაგრამ ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი რამ მოსახლეობის 90 პროცენტისათვის.

***— როგორც ითქვა, ეს თავად მობილური კომპანიების ინიციატივაა.***

— ასეთი ინიციატივები კომპანიებს ყოველთვის ექნებათ, მაგრამ ხელისუფლება იმისთვის არსებობს, რომ ეს ყველაფერი დაარეგულიროს. ასევე დაპირება იყო, რომ შემცირდებოდა საწვავზე ფასები, მაგრამ ვხედავთ, რომ სიტუაცია იგივეა. ცხადია, ასეთ მოკლე ხანში რაღაც ისეთი მნიშვნელოვანის გაკეთება, რომ ხალხმა ამოისუნთქოს, მაგრამ ტენდენციაც კი არ ჩანს ამის, მხოლოდ ლაპარაკია. ხალხის მოლოდინი იმდენად დიდი იყო, ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილის მხრიდან რომ ხალხს სულ სხვა იმედები ჰქონდა, სამწუხაროდ, ეს იმედები არ გამართლდა. დღეს უკვე ხალხი ძალიან ორჭოფულად უყურებს ყველაფერს. ხალხს საერთოდ არ აინტერესებს, ვენეციის კომისიამ რა დაწერა და რა რეკომენდაციები მისცა საქართველოს. ხალხს სხვა რამ აინტერესებს, არადა, წაიღეს ტვინი ამ ლაქლაქით. ორი ბობოლა, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობაა“ ერთმანეთის წინააღმდეგ, ჭამენ ერთმანეთს. მათ სრულიად მიავიწყდათ ხალხის არსებობა.

***— სიტყვა „დაპირისპირებას“ ბრჭყალებში ხომ არ მოაქცევდით?***

— მე ნამდვილად მოვაქცევდი ბრჭყალებში, იმიტომ რომ ძალიან ბევრი იდეოლოგიური მომენტი, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება, პოლიტიკური საკითხებისადმი მიდგომა ერთი და იგივეა, უბრალოდ, რაღაც უმნიშვნელო საკითხებშია სხვაობა, რაღაც არასერიოზულ პოლიტიკურ ლავირებას აქვს ადგილი. ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა საგარეო პოლიტიკაში, პირიქით, გაუარესდა კიდეც. ახლა ალასანიამ ბრძანა, რომ თურმე ჩვენ შეგვიძლია, ტერორიზმთან ბრძოლა გავაგრძელოთ მალიში. ამ ოპერაციის ინიციატორი კი საფრანგეთია. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში ამ ხელისუფლებას ძალიან დიდი მინუსები აქვს. ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი მინუსი კი ის არის, რომ რასაც ის ხალხს დაჰპირდა, ის ყველაფერი შეასრულა. ეს არის ყველაზე ცუდი და არა ის, რომ ვერ ასრულებს. არ სრულდება ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რომ დაისაჯოს ის დამნაშავე ხელისუფლება, რომელმაც წლების მანძილზე ანგრია ქვეყანა. ეს არ ხდება და, როგორც ჩანს, არც მოხდება. პროკურატურა არასრულყოფილი მასალების საფუძველზე დაიბარებს და დაკითხავს ვიღაცას, მერე იმ საქმეს გადასცემს სასამართლოს, სასამართლო ჩათვლის, რომ არასერიოზულია პროკურატურის დასკვნები და სასამართლო უშვებს გარეთ. ეს ხელისუფლება ამ ქმედებით საკუთარი თავის დისკრედიტაციას ახდენს. წინა ხელისუფლებას ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი ამ ცხრა წლის განმავლობაში, რომ მათი დაუსჯელობა უკვე დანაშაულია. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი ჩავარდნაა. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილმა თქვა, თურქეთში მოლაპარაკების შემდეგ მეჩეთი ავაშენოთო. კარგი, მაგრამ, რას ჰქვია, გადაწყვიტეს, სად არის ხალხი, ამის წინააღმდეგ გამოდის აჭარის მწერალთა კავშირი. რაში სჭირდება ბათუმს ახალი მეჩეთი? სამწუხაროდ, თურქეთი აკეთებს იმას, რაც მას უნდა არა რელიგიიდან, არამედ პოლიტიკური ზეგავლენიდან გამომდინარე და ეს ვერ შეიგნო ამ ხელისუფლებამ, უპირველესად კი იმ ადამიანმა, რომელიც ამბობს, მე თვითონ დავაფინანსებ ამის მშენებლობასო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უკვე ძალიან დიდი ეჭვი გაუჩნდა ამ ხელისუფლების მიმართ. ქართველ საზოგადოებას რომ სცოდნოდა, ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ ასეთი ფინალი იქნებოდა, არა მგონია, ბიძინა ივანიშვილის ოცნებას ისეთი მხარდაჭერა მიეღო, როგორიც არჩევნების დროს მიიღო.



***— საგარეო პოლიტიკაც საკმაოდ აქტიურად ექცევა კრიტიკის ქვეშ, არ გამოირიცხება საგარეო საქმეთა მინისტრის ცვლილებაც.***

— რა მნიშვნელობა აქვს, ფანჯიკიძე იქნება თუ წიწილაშვილი, თვითონ ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებაა ასეთი. როგორც ჩანს, პრიორიტეტული პოზიციები უკავია რესპუბლიკურ პარტიას. მინდა გითხრათ, რომ რესპუბლიკელების დამოკიდებულება დასავლეთისადმი ცნობილია, დასავლეთს კი სულ არ აინტერესებს ქართველები, აინტერესებს მხოლოდ ის, ვინც მათი პოლიტიკის გამტარებელი იქნება, საქართველო აინტერესებთ, როგორც ტერიტორია და ეს ვერ შეიგნო ვერც ერთმა ხელისუფლებამ. წლების განმავლობაში ამერიკულგრანტებნაჭამი პარტიები უფრო პროამერიკულები არიან, ვიდრე თავად ამერიკელები. ხომ არის რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე ლაპარაკი, ეს კი წაადგება ჩვენს ეკონომიკას მაგრამ ეს არის ძალიან მცირედი. როგორც ჩანს, საქართველოს ღვინის, მინერალური წყლისა და ციტრუსის გარდა, გასატანი უკვე აღარაფერი დარჩა. ამ წლების განმავლობაში სააკაშვილმა მოახერხა ის, რომ საქართველოს ეკონომიკა ნულის დონეზე დაეყვანათ. საქართველო არის თურქეთის მდარე პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხანა ანუ ის კუჭი, რომელიც ამ პესტიციდებიან პროდუქციას ამუშავებს და მეტი არაფერი. რაც მთავარია, არის არაპროფესიონალიზმი და გაუთავებელი ლაქლაქი, ერთმანეთის ჭამა და კინკლაობა.

***— ამ ყველაფრის ფონზე თუ არის თეორიული შესაძლებლობა მაინც ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაციისა?***

— ზოგიერთები ამას არასერიოზულად უყურებენ. ეს ექსპერტობა გამოდის და ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა უკვე პოლიტიკურ სასაფლაოზეა და ასე შემდეგ, მაგრამ არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მე არც ერთი მახარებს და არც მეორე. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ნაციონალური მოძრაობის ხალხი არის პარლამენტში და კიდევ კარგა ხანს იქნება პარლამენტში, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს და ძალიან მნიშვნელოვანსაც, მეორე, ის ამბავი, რომ რაც დრო გადის, ვხედავთ, დაპირებები, რომლებიც მათ ხალხს მისცეს, ვერ სრულდება და ეს ნაციონალებს აძლევს საშუალებას, აკრიტიკოს ეს ხელისუფლება. ნაციონალურ მოძრაობას ხელში აქვს ასევე ისეთი კოზირი, როგორიც „არის რუსთავი 2“ და, აქედან გამომდინარე, მათ უფრო მეტი შეუძლიათ თქვან ამ ხელისუფლებაზე. დროთა განმავლობაში, როდესაც ეს ხელისუფლება ვერ დასჯის ნაციონალური მოძრაობის წევრებს, ეს კიდევ მეტ იმედგაცრუებას გამოიწვევს საზოგადოებაში. საერთო ჯამში კი ერთი და ორი წლის შემდეგ დაიწყებენ ლაპარაკს, რომ, აი, ესენი ვერ აკეთებენ ვერაფერს და სააკაშვილი ხომ რაღაცას მაინც აკეთებდა და მოიყვანენ ფაქტებს, რომ დააგო გზა, ხიდი ააშენა და ასე შემდეგ. წარმოიდგინეთ, შევარდნაძე, რომელსაც არაფერი გაუკეთებია და როგორი ფორმით გაისტუმრეს ის სახლში, გვახსოვს, გავიდა წლები და სააკაშვილის ფონზე გამოჩნდა, როგორც ფრთაშესხმული ანგელოზი. ამ წლების განმავლობაში არ მოსულა ისეთი ხელისუფალი, რომელიც წინას რაღაცით მაინც სჯობია და ის წინა ხდება შემდეგ სანატრელი. მე რატომღაც მგონია, რომ წლების შემდეგ ანალოგიური მოხდება და ეს იარსებებს მანამ, სანამ დამნაშავე სააკაშვილი არ მოიხდის სასჯელს იმ ციხეებში, რომლებიც მან ააშენა. საზოგადოებაში რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ შეიძლება მათ ეს ყველაფერი ეპატიოთ. ეს არის ყველაზე ცუდი.

# მივიწყებული „აგვისტოს ხუთი დღე“

საოცარია, მაგრამ საქართველოში ბოლო ერთი წლის პოლიტიკურ ცხოვრებას და ამ პროცესის განმავლობაში გაკეთებულ ასევე პოლიტიკურ განცხადებებს რომ გადავხედოთ, ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა – 2008 წლის აგვისტოს ომი, პრაქტიკულად, ყოველგვარი ყურადღების მიღმაა დატოვებული.

ასევე საოცარია, რომ აღნიშნული თემა და ამ პროცესის გამოძიება, არც წინასაარჩევნო პერიოდის დაპირებებს შორის გვხვდებოდა თვალში, არც ე.წ. „სამართლიანობის აღდგენის“ ერთ-ერთ კომპონენტად გვევლინება და სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი პრაქტიკულად მივივიწყეთ.

ამ ყველაფერს თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნია, რადგან თუნდაც ამ ომისგან და მისი შედეგებისგან გამწარებული საქართველოს მოსახლეობა, ერთი კონკრეტული მოვლენის გამოძიების კი არა, ხელისუფლების უპირობო ცვლილების განხორციელებით იყო დაინტერესებული და შესაბამისად, როდესაც მან მხარი ახალ პოლიტიკურ ძალას დაუჭირა, რა თქმა უნდა ამით არა მარტო ამ ომის შედეგების ლიკვიდაციის პერსპექტივას დაუჭირა მხარი, არამედ, მხარი დაუჭირა მისი მიზეზების გამოძიების პერსპექტივასაც, თუმცა ხელისუფლების ცვლისა და ე.წ. „კოჰაბიტაციის“ პროცესმა, ხალხს ეს თემა გადაავიწყა.

ის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის საკითხის გამოძიების თემა აქტიურად არ მუსირებს, როგორც საზოგადოების, ასევე მედიის ბრალიცაა, თუმცა ეს ის საკითხია, რომელიც ალბათ ახალმა ხელისუფლებამ ხალხის მოთხოვნის გარეშეც აუცილებლად უნდა გამოიძიოს.

პოლიტიკოსთაგან კი, ვინც ეს თემა „გააცოცხლა“ და საზოგადოებას უახლესი ისტორიის ეს ავბედითი პერიოდი და მისი გამოძიების აუცილებლობა შეახსენა, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძეა, რომელმაც გამოცხადებული მორატორიუმი გასულ კვირაში დაარღვია.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის, რომ, ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ყურადღება შენელებული იყო, თავისი ობიექტური მიზეზებით აიხსნება, რადგან საზოგადოება პირველ რიგში დაინტერესებული იყო იმ რეჟიმის შეცვლით, რომელიც მის ქვეცნობიერში 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებასთან ასოცირდება.

შეიძლება ვინმე აღნიშნული საკითხის გამოძიების წინააღმდეგ წავიდეს და განაცხადოს, რომ ჩვენი ისტორიის ამ სამარცხვინო პერიოდს რაც უფრო ნაკლებად გამოვიძიებთ, მით უკეთესი შეიძლება იყოს ქვეყნისთვის, მაგრამ სწორედ რომ ამ სამარცხვინო ომის გამოძიება და ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევაა იმის აუცილებელი წინაპირობა, რომ მომავალში მსგავსი სირცხვილი ქართველმა ერმა აღარ სჭამოს, ხოლო რაც იყო, ამ სირცხვილს, სამწუხაროდ, ვერც ერის მეხსიერებიდან და ვერც ისტორიის ფურცლებიდან ვერავინ ველარ ამოშალის.

უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, რომ ისტორიას თვალი გავუსწოროთ, ყველა მოვლენა ობიექტურად შევაფასოთ და ვეცადოთ, რომ მომავალში მსგავსი აღარაფერი გავიმეოროთ. ხოლო ის, რომ მიხეილ სააკაშვილმა ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად ქართველ ხალხს სამარადჟამო სირცხვილი უსახსოვრა, უნდა ვაღიაროთ და როგორი ძნელიც არ უნდა იყოს, – ამას უნდა შევეგუოთ.

სამარცხვინო იყო თუნდაც ის, რომ 2008 წელს ომი წავაგეთ დღენახევარში, მაშინ როცა ქართული არმია პრაქტიკულად ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო. ხოლო ე.წ. აფხაზეთის ომის დროს, დახეულ „ბუშლატებსა“ და ფეხსაცმელებში გამოწყობილმა მოხალისეებმა, რომელთა ძირითადი შეაიარაღება მხოლოდ ავტომატი იყო, 13 თვისა და 13 დღის განმავლობაში ტოლი არ დაუდეს მსოფლიოს უძლიერეს არმიას და ძალიან ხშირად, ლოკალურ ეპიზოდებში, მნიშვნელოვან საბრძოლო წარმატებებსაც კი აღწევდნენ.

სამარცხვინო იყო, რომ ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა, რომელსაც დიდი გული მხოლოდ საკუთარ გამწარებულ ხალხთან ჰქონდა და ისიც მაშინ, თუ ზურგს უკან კბილებამდე შეიარაღებული ზონდერები ედგნენ, – ომის დროს საკუთარი ჰალსტუხი ტყლაპივით ღეჭა, ხოლო გორში, თვითმფრინავის ხმის გაგონებისას უყოყმანოდ, ჩართული კამერების წინ, მიატოვა მედიის წარმომადგენლები, უმაღლესი რანგის უცხოელი სტუმარი და სირბილში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რაც საბოლოოდ მის მიერ მტვრიან ქუჩაში გორაობით და ასფალტის ცხვირით ხვნით დასრულდა.

სამარცხვინო იყო, რომ ის ადამიანები, ვინც კოდორის ხეობას წლების განმავლობაში, ფაქტიურად შიშველი ხელებით, მხოლოდ ვაჟკაცობის ხარჯზე იცავდა, ციხეში გამოვამწყვდიეთ, ხოლო „ზემო აფხაზეთად“ წოდებული, ეს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ტერიტორია უბრძოლველად, ერთი ტყვიის გაუსროლლად ჩავაბარეთ.

სამარცხვინო იყო, რომ სწორედ იმ დროს, როცა კოდორის ხეობას უბრძოლველად ვტოვებდით, ხოლო ცხინვალის რეგიონში ჩვენი გმირი მეომრების გვამები მზის ქვეშ უპატრონოდ ეყარა, რუსთაველის გამზირზე ტაშფანდურა გაგვიმართეს.

კიდევ უფრო სამარცხვინო იყო, რომ ომში საკუთარი ქვეყნის დასაცავად წასული და ამ მიზნით სიკვდილისთვის მზად მყოფი ჩვენი გმირი ჯარისკაცები და რეზერვისტები უპატრონოდ დაყარეს და მათთვის, თუნდაც უკან დახევის შესახებ ბრძანებაც კი არავის მიუცია, რადგან იმ პირებმა, ვისაც ჯარისთვის ბრძანება უნდა მიეცა, ტყვიის გავარდნისთანავე მოკურცხლეს ფრონტის ხაზიდან.

სამარცხვინოა აგრეთვე ფილმი, რომლის გადაღებისთვისაც საქართველოს ბიუჯეტმა საკმაოდ სოლიდური თანხა გაიღო და პირდაპირ ვთქვათ, მისი დანიშნულება ისტორიის გაყალბება იყო. სიმბოლურია, რომ ამ ფილმის პრემიერა საქართველოში, ქვეყნის უახლესი ისტორიის კიდევ ერთ ავბედით დღეს – 2011 წლის 26 მაისს, ჯერ კიდევ ქართველების სისხლის სუნით გაჟღენთილ რუსთაველის კინოთეატრში გაიმართა.

სამარცხვინო იყო, რომ აგვისტოს ომის დღეებში, მმართველი გუნდის მთელი პოლიტიკური ელიტა, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, წითელ ხიდზე გარბოდნენ, ან უკეთეს შემთხვევაში წითელი ხიდის ახლომახლო სოფლებში იმალებოდნენ, რათა საჭიროებისამებრ საზღვარი სახელდახელოდ გადაელახათ და თავი სამშვიდობოს დაეგულებინათ.

ამ ფონზე კი, კიდევ უფრო სამარცხვინო იყო, როცა პარლამენტის თავმჯდომარემ და ქვეყნის მეორე პირმა, სამშობლოს ჩანგლებით დაცვისკენ მოგვიწოდა.

და ბოლოს, სამარცხვინო იყო, რომ სამარცხვინოდ წაგებული ომი, ჩვენმა მთავარსარდალმა მოგებულად გამოგვიცხადა.

როცა ქვეყნის უახლესი ისტორიის ამ პერიოდში, ასეთი ფაქტი მოხდა, რომელმაც საფუძველი დაუდო კიდევ უფრო ტრაგიკულ მოვლენას საქართველოს ისტორიაში – რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებას, რატომ არ ხდება ამ ომის დეტალების გამოძიება, მართლაც რომ საოცარია. მით უმეტეს, რომ არსებობს ზეკომპეტენტური დასკვნა, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ პრაქტიკულად ყველა ნიუანსი დაფიქსირებული და შეფასებულია.

მაშინ როცა გამოძიება მიმდინარეობს ისეთ საკითხებზე, თუ, ვინ ვისი ბიუჯეტით ჩაასხა სამარშრუტო ტაქსების ავზში ბენზინი ნაციონალების ყრილობაზე დასასწრებად, ან როცა პარლამენტში კონტრაცეპტივების ჯიშებზე საუბრობენ, რატომ არ დგება ინიციატივა 2008 წლის ომის გამოძიების, შეფასების და დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

ამ შემთხვევაში ძნელია არ დაეთანხმო პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, რომელმაც გასულ კვირაში ეს თემა და მისი სიმძაფრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა.

სხვათა შორის, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება დაინტერესდება და 2008 წლის ომის მოვლენების გამოძიებას სერიოზულად მოჰკიდებს ხელს, მას იგივე ნინო ბურჯანაძისა და მისი მეუღლის სახით, ფასდაუდებელი პირველწყაროები ეყოლება, ვინაიდან როგორც ცნობილია, ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მიხეილ სააკაშვილმა ნინო ბურჯანაძეს შეხვედრა სთხოვა, ხოლო ამის შემდეგ, სულ მოკლე ხანში, მას აცნობა რომ, ცხინვალის დაბომბვის შესახებ ბრძანება გასცა.

რა საუბარი შედგა მაშინ ბურჯანაძესა და სააკაშვილს შორის, ეს გამოძიებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძეს მედიასთან ამ საუბრის დეტალები რამდენჯერმე აქვს ნათქვამი. ექსსპიკერი მედიას სავარაუდოდ ყველაფერს ვერ ეტყოდა, თუმცა რასაც ვერ ეტყვი მედიას, შეიძლება უთხრა გამოძიებას, რომელსაც, იქედან გამომდინარე, რომ ქვეყნის ინტერესები არ დაზარალდეს, შეუძლია საქმეს გრიფით საიდუმლო დაადოს.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის მეუღლეს ბადრი ბიწაძეს, მიუხედავად იმისა, რომ ის პაატა დავითაიას საპარლამენტო კომისიას დაჟინებით სთხოვდა დამკითხეთო, მის დაკითხვას წინა ხელისუფლება ყოველთვის გაურბოდა და სავარაუდოდ ამის მიზეზიც ჰქონდა.

ბადრი ბიწაძეს, რომელიც საომარ ოპერაციებში პირადად მონაწილეობდა და ასევე, ამავდროულად სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა, ნამდვილად ღირებული და სავარაუდოდ სკანდალური ინფორმაციები ექნება. არსებობენ სხვა მოწმეებიც, რომელთა მოსყიდვა და დაშინება ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი მმართველობის პერიოდში ვერ მოახერხა და ეს მოწმეები და მათი ჩვენებები ახალი ხელისუფლების მიერ მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, რომ 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო მოვლენებს საკუთარი სახელი დაერქვას და მასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას პასუხი გაეცეს.

პასუხი უნდა გაეცეს, თუ რატომ დასჭირდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრის და დღეს ძებნაში მყოფი კეზერაშვილის საქართველოში თითქმის ძალით ჩამოყვანა მიხეილ სააკაშვილს, რომელიც უცხოეთის ერთ-ერთ ფეშენებელურ კურორტზე ისვენებდა, მაშინ როცა ქვეყანა უკვე პრაქტიკულად საომარ მოქმედებებში იყო ჩართული.

პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, თუ რატომ იყვნენ შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშინდელი გუბერნატორები რუსი გენერლების მძღოლებად გადაქცეულნი და რატომ აქეიფებდნენ მათ, ან რა სადღეგრძელოებს ამბობდნენ, როცა მათ მიერ ოკუპანტად შერაცხული ქვეყნის არმიის გენერლებს ჭიქებს უჭახუნებდნენ.

პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რატომ ხელმძღვანელობდა საომარ მოქმედებებს გიგი უგულავა.

ყველაფერ იმის ჩამოთვლა, რასაც პასუხი უნდა გაეცეს, ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა ფაქტია, რომ კითხვები არსებობს, ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლობამ კი მიგვიყვანა შედეგამდე, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი უკვე დაკარგულია და მისი დაბრუნების პერსპექტივის გაჩენისთვისაც კი, უზარმაზარი შრომა და ენერგიაა საჭირო. სიმართლე კი ერთია და სწორედ ეს სიმართლე უნდა ითქვას და სასურველია ითქვას სწორედ ქართული მხარისგან და საქართველოს ხელისუფლებისგან, ვინაიდან ის ადრე თუ გვიან აუცილებლად გაირკვევა, გაირკვევა სხვა ქვეყნების ძალისხმევით და ეს საქართველოს შეიძლება გაცილებით ძვირად დაუჯდეს. სიმართლე უნდა გაირკვეს, თუნდაც ამისთვის მიხეილ სააკაშვილის, ჰააგის ტრიბუნალამდე საკუთარი ხელით მიყვანა დაგვჭირდეს.

**ალეკო ჩუბინიძე**
*სააგენტო „ნიუსპრესი“*

# ვანო მერაბიშვილი: „19 აპრილის შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება“

შორენა მარსაგიშვილი

აპრილი დადგა და ნაციონალებსაც მოუსვენრობა შეეყარათ. მოგეხსენებათ რომ ისინი 19 აპრილს საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებენ. ამ თემაზე ისინი თებერვლიდან მოყოლებული ყოველდღე გვესაუბრებიან. იმდენჯერ ახსენეს 19 აპრილი, რომ ხალხს ეჭვი შეეპარა ეს თვე 19 რიცხვით ხომ არ არისო.

ნაციონალებისა არ იყოს 19 აპრილის დადგომას სხვებიც ელოდებიან. ზოგს სეირის ყურება უნდა, ზოგიც ნაციონალების დათვლას აპირებს. ნუგზარ წიკლაურს თუ დავუჯერებთ, 19 აპრილის აქცია ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იქნება. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ აქციაზე მიმსვლელებს ნაცმოძი ფულსაც ურიგებს. ამ ინფორმაციას გაოპოზიციონერებულები კატეგორიულად უარყოფენ.

19 აპრილის აქციას ორგანიზებას პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი უწევს. ძველ დროში ვანოს კაი გვარიანი აქციების მოწყობა ეხერხებოდა. ოლონდ მაშინ ვანო შს მინისტრი იყო და მიტინგზე არწამსვლელებს შავ დღეში ყრიდა. ეხლა სხვა დროა და ვანოს ხალხის მოსაგროვებლად დიდი ძალისხმევის გაწევა დასჭირდება.

ამ აქციაზე ნაცმოძი დიდ იმედებს ამყარებს. პარტიის გენმდივანმა გუშინ დამაინტრიგებელი განცხადება გააკეთა. მთელი ერი იმის მოლოდინში იყო, რომ ნამინისტრალი ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატს გაამხელდა. იყო ვარაუდი რომ მათი სახელით კენჭს გიგი უგულავა იყრიდა. წინა კვირაში თბილისის მერმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. ახლა ამბობენ, რომ ეს კანდიდატი შესაძლოა ვანო იყოს მერაბიშვილი.

რამდენიმე კვირის წინ მან ამ საკითხზე მინიშნება გააკეთა. გუშინ კი საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება არ ისურვა. სამაგიეროდ ისეთი დამაინტრიგებელი სიტყვა თქვა კანდიდატი ალარავის გახსენებია.

მისი განცხადებით, 19 აპრილის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება.

— ნაციონალური მოძრაობა არსებობს, იბრძვის და 19 აპრილს ქართველი ხალხი ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდება და ძალიან ბევრ სიახლეს გაიგებს. ბევრისთვის, 19 აპრილი სიურპრიზებისა და სიახლეების მომტანი იქნება. საქართველოში 19 აპრილის შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ნაცმოძის გენმდივანმა 19 აპრილს მოსალოდნელ პროვოკაციებზეც ისაუბრა. მას მელორ ვაჩნაძე და ნანა კაკაბაძე შემოეკრიტიკა.

ვანო მერაბიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 19 აპრილს ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქციაზე, პოლიტპატიმრებთან ერთად მისვლას მელორ ვაჩნაძე და ნანა კაკაბაძეც აპირებენ. მან ვაჩნაძეს „ყაჩაღი“, კაკაბაძეს კი მხედრიონელი უწოდა

— ჩვენ გვყავს „პოლიტპატიმრები“, რომლებმაც სიაში მოხვედრა და თავისუფლების ყიდვა 100 000 და 200 000 ლარად მოახერხეს. ჩემი ინფორმაციით, მათთან ერთად 19 აპრილს აქციაზე მისვლას ნანა კაკაბაძე და მელორ ვაჩნაძეც გეგმავენ, რასაც მათ არ ვურჩევ!, — აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

ისე საინტერესოა როდედან გახდა მხედრიონელობა „გრეხი“ ნაციონალებისთვის. შეიძლება ნაცმოძის გენმდივანს აღარ ახსოვს მაგრამ მათ მთავრობაში ბლომად იყვნენ მხედრიონელები. კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი და ჯაბა იოსელიანის მარჯვენა ხელი იყო. მხედრიონელი იყო გია უდესიანიც. რომელიც ვანოსთან ახლობლობდა. და არც ისაა დასავიწყებელი სააკაშვილი ამერიკაში სასწავლებლად ჯაბა იოსელიანმა რომ გაუშვა.

ექსპერტები უკვე დიდი ხანია საუბრობენ, რომ 19 აპრილს ნაცმოძი პროვოკაციის მოწყობას შეეცდება. მერაბიშვილის გუშინ გაკეთებული განცხადებები კიდევ უფრო მწვავე მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა.

ყველას გვახსოვს რა განცხადებებს აკეთებდნენ ნაციონალები საპროტესტო აქციებზე როცა ხელისუფლებაში იყვნენ. ამბობდნენ, რა დროს აქციებია როცა მტერი 40 კილომეტრშიაო.

ძვირფასო ნაციონალებო აქცია რომ დაანონსეთ, მტერმა უკან დაიხია თუ რაშია საქმე? ამის გარდა ნაციონალებს სხვა მიზეზითაც უნდა შერცხვესთ რუსთაველის გამზირზე აქციის მოწყობა. 7 ნოემბრის და 26 მაისის ავტორებს წესით რუსთაველზე აქციის ჩატარება თავში აზრადაც არ უნდა მოუვიდეს. ნაციონალები კი დიდი სიამაყით ემზადებიან ამ აქციისთვის. და სადაც სისხლიან რუსთაველზე სამხედრო აღლუმის ჩატარება გადაწყვიტეს აქციის ჩატარება გაუჭირდებათ?

როგორც უკვე ვთქვით, 19 აპრილისთვის ნაციონალების გარდა სხვებიც ემზადებიან. ამ ქვეყანაში მრავლად არიან ისინი ვისაც ნაციონალებისთვის ანგარიში აქვთ გასასწორებელი. არ არის გამორიცხული ის ადამიანები მივარდნენ და ნაციონალები შემოელახოთ. გაოპოზიციონერებულებსაც ეს უნდათ. ყველაფერს გააკეთებენ, რომ მოწინააღმდეგე მხარე პროვოკაციაზე წამოაგონ და მერე თავზე წამებულის გვირგვინი დაიდგან.

მშობლიური პოლიცია გვპირდება, რომ აქცია მშვიდობიანად ჩაივლის. ნამისნიტრალი მერაბიშვილის მტკიცებით კი სიტუაცია 19 აპრილის შემდეგ შეიცვლება.



# ელიზბარ ჯაველიძე: „მესხეთელი თურქების ჩამოსახლება საქართველოს დაანგრევს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში ბოლო დროს უცნაური ამბები ხდება. ჯერ რეგიონული ენების ამოქმედების იდეით გამოვიდა რესპუბლიკური პარტია, მერე მესხეთელი თურქების დაბრუნების აუცილებლობაზე ალაპარაკდა საოცნებო ხელისუფლება. ეს ვალდებულებები 1999 წელს აიღო საქართველომ. იმ წელს ჩვენი ქვეყანა ევროსაბჭოს წევრი გახდა.

მესხეთელი თურქების დაბრუნებას საქართველოში თავის დროზე მხარს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც კი უჭერდნენ, მაგრამ როგორც კი გაიგეს ნათი რეალური ზრახვების შესახებ, გადაწყვეტილება შეცვალეს. რატომ შეიცვალეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა პოზიციები, რა საფრთხეების წინაშე დგას საქართველო, ამ თემაზე „ახალ თაობას“ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— არ არსებობს ერი, რომელსაც 2 სახელი ჰქვია. მოდით გავარკვიოთ, რას ნიშნავს მესხეთელი თურქები. ისინი არიან სუფთა სისხლის თურქები. ისტორიულად ცნობილია, რომ ისინი ძალიან ცუდად ექცეოდნენ ქართველებს. ცნობილია ისიც, რომ საზღვრისპირა რეგიონებში თურქები ყველაზე დაუნდობელ მებრძოლებს და ჯარისკაცებს ასახლებდნენ. მესხეთელი თურქები მათი შთამომავლები არიან. თავის დროზე ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა საქართველოში მათი ჩამოსახლებისთვის იბრძოდნენ. მიაჩნდათ, რომ ისინი არიან ქართველები და ამიტომაც ისტორიულ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ. როდესაც მათთან უშუალო კონტაქტი დაამყარეს, გადაწყვეტილება შეცვალეს.

***— რა გახდა გადაწყვეტილების შეცვლის მიზეზი?***

— მათი პრეტენზიები. მოითხოვეს რომ სამცხე-ჯავახეთში მომხდარიყო მათი ჩასახლება. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა თურქული მეჩეთების და სკოლების აშენება იყო. ის ხალხი, ვინც მაშინ დაბრუნებას აპირებდა, მთლიანად იყვნენ გათურქებული. ზვიადი და მერაბი მიხვდნენ, რომ ეს ქვეყნისთვის სახიფათო იქნებოდა და უარი თქვეს თავიანთ გადაწყვეტილებაზე. დღეს საქართველოში ასეთი სახიფათო ხალხის ჩამოსახლებას აპირებენ. მე არ ვამბობ, რომ არავინ არ უნდა დაბრუნდეს. თუმცა დაუშვებელია მათი ერთ რეგიონში ჩასახლება.

***— რატომ?***

— ისინი ითხოვენ მეჩეთების და თურქული სკოლების გახსნას. განსაკუთრებით სახიფათო იქნება თუ მათ სამცხე-ჯავახეთში, თურქეთის საზღვართან ჩავასახლებთ. მაგათი იქ ჩასახლება საქართველოში ახალ პრობლემურ რეგიონს გააჩენს. ამ ხალხის დაბრუნება თავის თავზე აიღეს სააკაშვილმა და შევარდნაძემ და ახლა ეს საკითხი ბიძინა ივანიშვილისთვის გახდა პრობლემა. ისევე, როგორც კიდევ ერთი თურქული პრობლემა.

***— აჭარაში თურქების მასობრივ ჩამოსახლებას გულისხმობთ?***

— მაგაზე მოგახსენებთ. დღევანდელი მონაცემებით, აჭარის რეგიონში 27 ათასი თურქია ჩამოსახლებული. ეს ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ რეგიონი დაკარგვის პირასაა. თურქები დღემდე ვერ ეგუებიან იმ აზრს, რომ აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. სააკაშვილის უგვანი პოლიტიკის გამო, თბილისიც შესაძლოა სადავო გახდეს. ყველამ ვიცით, რომ თბილისთან შენდება ჩინური ქალაქი და 127 ათასი ჩინელის ჩამოსახლება იგეგმება.

***— ითქვა, რომ ამ ქალაქში ჩინელები არ აპირებენ ცხოვრებას. უბრალოდ, ააშენებენ და გაყიდიანო.***

— გაყიდიან, მაგრამ გაყიდიან ისევ ჩინელებზე. 127 ათასი ჩინელი, წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს? ეგენი კატასტროფული სისწრაფით მრავლდებიან. ერთ-ორ წელიწადში ნახევარ საქართველოს დაეპატრონებიან. ამის გარდა საქართველოს მიწებს არაბებზე, ინდოელებზე, ეგვიპტელებზე ყიდიან. მე ამ დღეებში მივწერე წერილი ბიძინა ივანიშვილს, სადაც ვკითხულობ, ბატონო ბიძინა, ქართველებმა სადღა ვიცხოვროთ? ეს პრობლემა ძალიან მალე დადგება ქვეყნის წინაშე. საქართველოს ძალიან ცუდ რაღაცებს უმზადებენ. შემთხვევითი არც ისაა, სწორედ ახლა რომ დადგა დღის წესრიგში რეგიონული ენების შემოღების საკითხი. არც ისაა შემთხვევითი, ეს თემა რესპუბლიკელებმა რომ წამოწიეს. რესპუბლიკელები თავიდანვე საქართველოს დანაწევრების შესახებ ქადაგებდნენ. მათი აზრით, აფხაზეთი უნდა იყოს ცალკე სახელმწიფო. ამაზე არაერთი განცხადება აქვთ გაკეთებული. ამ უბედურებას იელოველებიც დაემატნენ.

***— იელოველების საერთაშორისო კონგრესი გაქვთ მხედველობაში?***

— სწორედ მაგ კონგრესზე ვსაუბრობ. საქართველოს გარდა, სხვა ქვეყანა ვერ ნახეს კონგრესის გასამართად? თან რაღა მაინცდამაინც 7 აპრილი, ხარება დღე შეარჩიეს ღონისძიების ჩასატარებლად? გარწმუნებთ, ეს უბრალო შემთხვევითობა არ არის. ეს ყველაფერი ერთი ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული.

***— ეს ერთი ადამიანი ვინ არის?***

— ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილია, რომელსაც მართლა უყვარს თავისი სამშობლო. მას არავითარი სურვილი არა აქვს, რომ წარმოჩინდეს როგორც ანტიქართველი. სამწუხაროა, რომ ასეთ შარში მას საკუთარი გარემოცვა ხვევს. მესხეთელი თურქების საკითხმა ახალი ხელისუფლება შესაძლოა ძალიან ცუდ დღეში ჩააგდოს. ისტორიულად დადასტურებულია, რომ ქართველებს არასდროს არავის მიწები არ მიუთვისებია. ჩვენ ყოველთვის ვცხოვრობდით ჩვენს ბუნებრივ საზღვრებში. ჩვენი სამკვიდრო არის საქართველო. სხვა ერები კი აქ ჩამოსახლდნენ და ჩვენ თავშესაფარი მივეცით. ამ თემაზე დეპუტატმა თინა ხიდაშელმა ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა. რეგიონულ ენებთან დაკავშირებით აკეთებდა განმარტებებს. ცხადია, ეგეც მხარს უჭერს რეგიონული ენების შემოღებას. ეს გაამართლა ძალიან ცუდი არგუმენტით. თქვა, რომ აზერბაიჯანელი თავის სამშობლოში ვერ ღებულობს თავის ენაზე განათლებას და აზერბაიჯანში მიდისო. ძალიან შემცდარა ქალბატონი თინათინი, ასე რომ ფიქრობს. აზერბაიჯანელისთვის და სომხისთვის, განსაკუთრებით, თუ ისინი საზღვრისპირა რეგიონებში ცხოვრობენ, საქართველო არასდროს არ იქნება სამშობლო. ეს არის ის ზოგადი პოლიტიკა, რასაც გლობალიზაცია ჰქვია. აქ ეროვნება საერთოდ უარყოფილია. შემთხვევითი არც ისაა, სააკაშვილმა ქუთაისში რომ გადაიტანა პარლამენტი.

***— პარლამენტის გადატანა სააკაშვილმა ქუთაისის განვითარების სურვილით ახსნა.***

— ამ ზღაპრის არავის სჯერა. ეს არგუმენტი არის აბსურდული. ასევე აბსურდულია ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანა. სააკაშვილი და ნაციონალები გვიმტკიცებენ, რომ ეს არის დეცენტრალიზაცია. ეს დეცენტრალიზაცია კი არა, სახელმწიფოს დაშლის მცდელობაა! არაერთხელ მითქვამს, რომ არსებობს საქართველოს რამდენიმე ნაწილად დაშლის გეგმა. სააკაშვილი სწორედ ამ გეგმას ახორციელებდა. მესხეთელი თურქების ჩამოსახლებით ქვეყნის დაშლა კიდევ უფრო დაჩქარდება. ისედაც დაშლის პირასაა ეს ქვეყანა.

***— გამოსავალს რაში ხედავთ ბატონო ელიზბარ?***

— გამოსავალი ერთადერთია — ქართველი ხალხი უნდა გამოფხიზლდეს. საკუთარ თავს ჩვენ თავად უნდა ვუშველოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო რამდენიმე ნაწილად დაიშლება.

***— ვინ დგას ამ გეგმის უკან?***

— ამერიკა. ახლახან გაირკვა, რომ ამერიკამ საქართველოს 3 მილიარდი გამოუყო. აგვისტოს ომის შემდეგ ამ თანხას კიდევ ერთი მილიარდი დაემატა. იცის ვინმემ, სად გაქრა ეს 4 მილიარდი დოლარი? მთელი უბედურება ისაა, რომ ეს არც ამერიკას არ აინტერესებს. მათთვის მთავარია საქართველოს სათავეში არ მოვიდნენ პატრიოტები. თავიანთი პოლიტიკის გამტარებლებს კი ყველაფრის უფლებას აძლევენ.

***— და რა არის მათი პოლიტიკა?***

— ქართველებს ქართველობა უნდა მოუსპონ. ეს მიზანი გაცილებით იოლად იქნება მიღწეული თუ მესხეთელი თურქების ჩამოსახლება მოხდება.

***— ცოტა ხომ არ ვაზვიადებთ მესხეთელ თურქებთან დაკავშირებულ საფრთხეებს?***

— ვაზვიადებთ კი არა, იმაზე ნაკლებს ვსაუბრობთ, რაც უნდა ვილაპარაკოთ. მომავალში შესაძლოა მართლა ვიფიქროთ მათ ჩამოსახლებაზე, მაგრამ ამ მომენტში ეს დაუშვებელია. ქართველ ხალხს საარსებო მოუსპეს და ამ დროს სხვების ჩამოსახლება ქვეყანას დააქცევს.



***— ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 400 ათასი დევნილი გვყავს.***

— ამ დევნილებისთვის ვერ მიგვიცია სარჩო და საცხოვრებელი და სხვები როგორ უნდა შევიფაროთ? ეს ყველაფერი უნდა ვუთხრათ დასავლეთს. სტალინმა საქართველოდან 40 ათასი მესხეთელი თურქი გაასახლა. ახლა მოდის 400 ათასი. ძალიან მაინტერესებს, სად უნდა დავასახლოთ ეს ხალხი? როგორ უნდა მოვუაროთ მათ, როცა აქ ბავშვები შიმშილით იხოცებიან? ჩვენი დევნილები ქუჩაში ყრიან და ამ დროს სხვებს ვუშენებთ სახლებს? იმდენი ვინმე ჩამოდის საქართველოში, მალე აქ ქართველებისთვის აღარ იქნება ადგილი. ისედაც აღარ არის აქ ქართველის გასაჩერებელი ადგილი. ნახეთ, ვინ სარგებლობს ქართული მიწითა და ტყეებით. ბენდუქიძემ ყველაფერი უცხოელებს მიყიდა. საქართველოში უცხოელების ჩამოსახლება სააკაშვილის ინტერესებში იყო. და იცით რაში სჭირდებოდა ისინი? — არჩევნებისთვის. ისინი ყველანი სააკაშვილს მისცემდნენ ხმას.

***— გასაგებია, რომ სააკაშვილი ვიღაცის დაკვეთას ასრულებდა და ასეთ პოლიტიკას იმიტომ ატარებდა. ახალი ხელისუფლებაც რომ იგივეს აკეთებს. ეს რას ნიშნავს?***

— ახალი ხელისუფლება მართლაც ცუდ დღეშია. სააკაშვილის და შევარდნაძის აღებული ვალდებულებების შესრულება უწევთ. უნდათ თუ არა, ამ ვალდებულებებს უნდა გაუწიონ ანგარიში.

***— მაშინაც უნდა გაუწიონ ანგარიში თუ ეს ვალდებულებები საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული?***

— სამწუხაროდ, ივანიშვილის გარშემო მრავლად არის ისეთი ხალხი, რომლებიც სააკაშვილის პოლიტიკას სიამოვნებით ატარებენ. ამ მხრივ რესპუბლიკელები მართლაც გამორჩეულები არიან. გაიძახიან, ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყანა და თუ ევროპელობა გვინდა, ეს ვალდებულებები უნდა შევასრულოთო. არადა, რომ ამოუჩემებიათ ეს ქარტია, ის სულაც არ გვავალდებულებს, რომ სომხური და აზერბაიჯანული რეგიონულ ენებად გამოვაცხადოთ. ქარტიაში ნათლად წერია, რომ თუ ამა თუ იმ რეგიონების მეზობლად მათი ეთნიკური წარმომავლობის ხალხი ცხოვრობს, რეგიონულ ენებს ვერ მიიღებენ. ასე რომ, არაა საჭირო სასამართლოების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამართვა. ჯავახეთში ისედაც სომხური დროშა ფრიალებს და თუ გვინდა ამ ხალხის ინტეგრირება მოვახდინოთ, მათ უნდა ვასწავლოთ ქართული. აზერბაიჯანში ან სომხეთში ერთი ქართული სკოლა მაინც არის? ამაზე რატომ არავინ არ ფიქრობს! საინგილოში კი არის ქართული სკოლები, მაგრამ საშინლად შეზღუდულები არიან.

***— საინგილოში ქართველ სასულიერო პირებსაც უშლიან წირვა-ლოცვის ჩატარებას.***

— სამაგიეროდ ჩვენ ვაშენებთ აქ მეჩეთებს. თუ ასე გაგრძელდა პოლიტიკა, საქართველო გადაგვარდება და სანამ ქართველი ხალხი გონზე არ მოვა, არაფერი არ გვეშველება. ცოტა ხნის წინ მთელი საქართველო იმაზე ნერვიულობდა, ჩატარდებოდა თუ არა პარლამენტში სარეიტინგო კენჭისყრა. ასეთი რამეები პარლამენტში ხშირად ტარდება. ხალხი ასეთი სანახაობით კი არ უნდა გაერთოს, არამედ ქვეყნის გადარჩენაზე უნდა იფიქროს.

# ალექსანდრე ჟღენტი: „აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება ბევრს ძვირად დაუჯდება“

გულიკო ბალაძე



საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო 20-წლიან პერიოდში ბევრი რამ ისეთი მოხდა, რომელიც სერიოზულ გამოძიებასა და გაანალიზებას საჭიროებს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, რომ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ფაქტსა და სხვა დანაშაულობებს გამოიძიებდნენ. თუმცა, სააკაშვილის ხელისუფლება ვერ აღმოჩნდა იმ სიმაღლეზე, რომ ეს გაეკეთებინა. სააკაშვილის დანაშაულებრივ საქმიანობასთან ერთად, იმედებიც ჩაიფერფლა.

ზოგადად კი, სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მთლიანად გაემიჯნა ყოველივე ეროვნულს, ბრძოლა გამოუცხადა ზვიად გამსახურდიასა და მის ოჯახს. – შვილს უკლავდა, ციხის ჯურღმულებში გამოამწყვდია იმის გამო, რომ ცოტნე გამსახურდიამ ზვიად გამსახურდიას გროზნოდან გადმოსვენებით სააკაშვილს პიარი არ გააკეთებინა. სააკაშვილიც გაბოროტდა და შური იძია.

სანამ პრეზიდენტად იწოდებოდა, სააკაშვილი ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებულ ყველა ეროვნული მიღწევის იგნორირებას ახდენდა. ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღე კი, გლოვის დღედ გამოაცხადა.

ახლა, ხელმოცარული და გაკოტრებული სააკაშვილი ცდილობს გარკვეული აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას, ქულების ჩაწერას და ზვიად გამსახურდიას დამსახურებებზე საუბრობს.

31 მარტთან დაკავშირებით, მან განცხადება გაავრცელა, სადაც ამბობს, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ღვაწლი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე შეუფასებელია.

– დღეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული მოძრაობის ლიდერის, მწერლისა და მეცნიერის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 74 წელი შესრულდა. იგი იყო ღირსეული მამულიშვილი და თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი. შეუფასებელია მისი ღვაწლი ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენის ძალიან რთულ გზაზე და წარუშლელი კვალი დატოვა კიდეც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მინდა, ამ დღეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა და სითბო გამოვხატო“, – წერს სააკაშვილი.

რა უფლება აქვს სააკაშვილს გამსახურდიაზე და რეფერენდუმზე ილაპარაკოს, როცა მას პირველი პრეზიდენტის გადმოსვენებისა და გასვენების დღეს სახელმწიფო დროშებიც კი არ დაუშვია. ახლა გაახსენდა გამსახურდია? თავის დროზე, ალბათ, რეფერენდუმშიც არ მიუღია მონაწილეობა და არც დამოუკიდებლობისთვის მიუცია ხმა. ვის რად უნდა მისი შეფასებები ახლა?

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური იყო და ერთხელაც არ მიუგია პატივი ამ დამოუკიდებლობისთვის საფუძვლის ჩამყრელისთვის. ახლა კი მილოცვის წერილებს წერს, რომ თავის „დამსახურებებზეც“ ილაპარაკოს.

ძალიან ბევრია ისეთი, რომელმაც ბოლომდე უერთგულა ზვიად გამსახურდიასა და სახელმწიფოებრივ იდეებს. ძალიან ბევრი ადამიანი მივიდა რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეზე მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პირველი პრეზიდენტის საფლავთან.

ამ პიროვნებამ ძალიან მყარი საფუძველი ჩაუყარა ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და დამოუკიდებლობას 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც და კითხვაზე, გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე, მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ ხმა მისცა დამოუკიდებლობას, რის შემდეგაც ძალიან მალე საქართველოს უზენაესმა საბჭომ და ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მიუხედავად 20-წლიანი სისხლიანი ბატალიებისა და დევნისა, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები დღესაც ერთგულები არიან ზვიად გამსახურდიასა და მისი იდეების. ჩვენ რამდენიმე მათგანს პანთეონში შევხვდით და ვესაუბრეთ.

უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ალექსანდრე ჟღენტმა განაცხადა, რომ რაც უფრო დრო გადის, მით უფრო ზვიადის სიზვიადე მტკიცდება.

– საოცარი რამაა, რაც დრო გადის, მით უფრო ზვიადის სიზვიადე მტკიცდება. ის, რაც დღეს ხდება, აბსოლუტურად მკაფიოდ და ზუსტად ზვიად გამსახურდიამ იწინასწარმეტყველა, თუ მოხდებოდა ის, რაც საუბედუროდ, მაშინ მოხდა, – განაცხადა ალექსანდრე ჟღენტმა, – ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის არაკეთილგონივრულმა საქციელმა დაღუპა ძალიან ბევრი რამ ჩვენს სახელმწიფოში და ძალიან დიდი საფრთხე შეუქმნა მას. თუმცა, ალბათ, ღვთის წყალობით...

***– თუმცა, ბატონო ალექსანდრე, ისევ ქართველი საზოგადოების გონიერებამ სძლია.***

– იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია გვყავდა. მან მოასწრო უმთავრესი რამ – საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური პასპორტის (თუ ასე შეიძლება ვთქვათ) აღდგენა. კანონიერებას ვერაფერი აღუდგება წინ. ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური პასპორტი მოგვცა. როდესაც კაცს აქვს ბინის ორდერი, ბინიდან რომც გააგდონ, ან შეავიწროვონ, ის არის ამ ბინის პატრონი. ზვიად გამსახურდიამ სწორედ ასეთი დოკუმენტი დაუტოვა ქართველებს ღვთის წყალობითა და ძალისხმევით (თუმცა, რაც უფრო დიდი დრო გადის, მით უფრო დიდი ძალისხმევაა საჭირო), ქვეყანა აღიდგენს იმას, რისთვისაც იბრძოდა და რასაც შეეწირა ზვიად გამსახურდია.

***– ისე, ახლა ზვიად გამსახურდია ცოცხალი რომ ყოფილიყო, რამდენ რამეს მოგვიყვებოდა, რაც ჩვენ არ ვიცით.***

– ზვიადი ისეთი ფიგურაა, რომ მისი იდეების, საქმეებისა და ნააზრევის გამო ყოველთვის ცოცხალი იქნება. ის სულ უფრო და უფრო გამტკიცდება და განუყოფელი ხდება (საუკუნეების მანძილზე ასე გაგრძელდება) იმ ქვეყნისგან, სადაც ის იშვა და ვისი პრეზიდენტიც ის იყო. მომავალში, ალბათ, სათანადოდ დაფასდება არა მარტო სამოქალაქო, არამედ სხვა სფეროშიც. ზვიად გამსახურდია არის ჩვენი ცოცხალი სიმბოლო. სწორედ ასეთი პრეზიდენტი უნდა ჰყოლოდა საქართველოს რესპუბლიკას. მიწათმოქმედების, მეღვინეობის, მეტალურგიისა და მედიცინის სამშობლოს, სწორედ ასეთი პრეზიდენტი უნდა ჰყოლოდა. აღმოსავლური სენტენციაა ასეთი: ქვეყნის მმართველი უნდა განასახიერებდეს საკუთარ ქვეყანას. ასეთი იყო ზვიად გამსახურდია. გარეგნულად, აღზრდით, გვარიშვილობით, საქმეებით და, სამწუხაროდ, თავისი მოწამეობრივი სიკვდილითაც. ეს არის საქართველო. ზვიად გამსახურდია განასახიერებს მთლიანად საქართველოს და, ალბათ, პირიქით.

***– მე პირადად ვმონაწილეობდი რეფერენდუმში. თვითონ რეფერენდუმზე რას იტყვით?***

– ეს იყო ისეთი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური აქტი, რომელმაც ბევრისთვის მოულოდნელად, აჩვენა ქართველი ერის მზაობა ეცხოვრა და ეაზროვნა სახელმწიფოებრივად.

უზენაესი საბჭოს დეპუტატი გურამ მაქაცარია კი იხსენებს დამოუკიდებლობის წინა პერიოდს და იმ ძალისხმევას, რომელსაც იჩენდნენ იმპერიალისტური ძალები საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ.

გურამ მაქაცარია საუბრობს ზვიად გამსახურდიას მიერ გადადგმულ იმ ნაბიჯებზე, რამაც ხელი შეუშალა იმპერიულ ძალებს, განეხორციელებინათ თავიანთი ჩანაფიქრი.

– საბჭოთა კავშირი რომ შეიქმნა, ეს იყო მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანება. ყველა რესპუბლიკა ინარჩუნებდა თავისუფალი გასვლის უფლებას და მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლება შეიცვალოს. ეს წერია 1937 წლის კონსტიტუციაში. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როგორც კი ეროვნული და დისიდენტური მოძრაობა აღორძინდა, მათ შორის, ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა თქვა, რომ ტოტალიტარული იმპერია ეროვნულმა მოძრაობამ დაშალაო და ზვიად გამსახურდია დაასახელა. ასევე მოსკოვში მოწყობილ მრგვალ მაგიდაზე ჟურნალ „დელავიე ლიუდის“ რედაქტორმა ბირიუკოვმა განაცხადა, ტოტალიტარული სისტემა დისიდენტებმა მოცელეს, განსაკუთრებით ეროვნულმა მოძრაობამ და ზვიად გამსახურდიამო. როგორც კი რუსეთის იმპერიამ შეატყო, რომ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირი დაშლილიყო – ახალი რეალობა შეიქმნა მეოცე საუკუნის ბოლოს – 1990 წლის 3 აპრილს გამოვიდა კანონი მოკავშირე რესპუბლიკის საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ. ამ კანონის მეორე მუხლში წერია, რომ გასვლის ინიციატივა შეუძლია წამოაყენოს ან მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ან მოსახლეობის 10%-მა.

***– ანუ თვითონ მოსკოვში გამოსცეს კანონი საბჭოთა კავშირიდან გასვლის შესახებ?***

– დიახ, ამაშია მთელი ეშმაკობა.

***– თვითონ რატომ უნდა გამოეცათ ასეთი კანონი?***

– ამ კანონის მესამე პუნქტში წერია, რესპუბლიკებში, რომლის შემადგენლობაში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქები, მხარეები და კომპაქტურად დასახლებული ხალხი, ცალკე ტარდება რეფერენდუმი და ეს ხალხი ინარჩუნებს უფლებას, ამ რესპუბლიკაში დარჩებიან თუ – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ე.ი. მოკავშირე რესპუბლიკას გასვლა გინდოდა თუ არა, 10%-ს მოაგროვებდნენ საქართველოში და იმ 10%-ის მოთხოვნით, ჩაგიტარებდნენ რეფერენდუმს.

***– თუმცა, როგორც მახსოვს, ეს ვერ მოახერხეს.***

– ეს ზვიადის დამსახურებაა. ავტონომიურ რესპუბლიკებში – აფხაზეთში, სამაჩაბლოში, აჭარაში – ასევე მარნეულში, გარდაბანში, დმანისში, ბოლნისში, ახალციხეში, ახალქალაქში, ბოგდანოვკაში მოსახლეობის უმრავლესობას მოაგროვებდნენ და კონსტიტუციურად, ერთხელ და სამუდამოდ, ეს ტერიტორიები საქართველოდან გასული იქნებოდა, ანუ საქართველოსგან რჩებოდა მისი ტერიტორიის 1/5. იმიტომ გამოსცეს ის კანონი, რომ ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლებულიყვნენ იმ წინადადებისაგან, რომელიც საბჭოთა კავშირის წინა კონსტიტუციაში ეწერა, ტერიტორიები ხელშეუხებელიაო. ფაქტობრივად, შენდებოდა ახალი რუსეთის იმპერია და მოკავშირე რესპუბლიკების 90% უკვე, ერთხელ და სამუდამოდ, კონსტიტუციურად რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდებოდა. საქართველოდან მინიმუმ ჩვენი ტერიტორიის 80% გაჰქონდათ, ხოლო ისეთ რესპუბლიკას (რომელიც დღეს მთელ ევროპას იწონის ტერიტორიითაც და ეკონომიკურადაც), როგორიცაა, ყაზახეთი, ერთი კვადრატული მილიმეტრიც აღარ რჩებოდა. დღეს იქნებოდა ახალი რუსული იმპერია. ამიტომ ზვიად გამსახურდიამ ყველაფერი გააკეთა, რომ რამენაირად რეფერენდუმი ადრე ჩაეტარებინა (მათი რეფერენდუმი 10 წლის განმავლობაში აღარ შეიძლებოდა ჩატარებულიყო) და მოსალოდნელი რეფერენდუმი გაენულებინა.

კანონი 1990 წლის 3 აპრილს გამოვიდა და ამიტომ 1991-92 წლებში ეს რეფერენდუმები აუცილებლად ჩატარდებოდა. იმიტომ შეიქმნა ორგანიზაციები „აიდგილარა“, „კრუნკი“, „ადამონ ნიხასი“, რომ ეს გეგმა განეხორციელებინათ. იმიტომ იყო, რომ ზვიად გამსახურდიამ მთელი თავისი ოჯახი და ყველაფერი სასიკვდილოდ გაწირა. მისთვის მთავარი იყო, საბჭოთა იმპერიული გეგმა რამენაირად ჩაეშალა. ამისთვის აიძულა გუმბარიძის ხელისუფლება, ეღიარებინა რუსეთის ოკუპაცია-ანექსია, ანუ იმ დღეს საბჭოთა კავშირი კანონგარეშედ გამოცხადდა. 1990 წლის 19 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური უმაღლესი საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა, სადაც ზვიად გამსახურდია შევიდა და მოითხოვა, მრავალპარტიული არჩევნების კანონი მიეღოთ. უარზე იყვნენ, მაგრამ გარეთ 100 ათასი კაცი იდგა და ზვიად გამსახურდიამ აიძულა უმაღლესი საბჭო, მის მოთხოვნას დათანხმებულიყვნენ. საბჭოთა კავშირის ერთადერთი სიძლიერე ის იყო, რომ კომუნისტების გარდა, სხვა პარტია აკრძალული იყო და არჩევნებში სხვა პარტიები ვერ მონაწილეობდნენ. ამით ტოტალიტარული სისტემა იმ დღეს დაშალა ზვიად გამსახურდიამ. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე, რადგან მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში თუ ჩატარდებოდა, ჩატარდებოდა ასევე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამის შემდეგ პირველსავე არჩევნებში იმარჯვებს ეროვნული ხელისუფლება და 31 მარტს ატარებს რეფერენდუმს მოთხოვნით, თანახმა ხართ თუ არა ხმა მისცეთ საქართველოს დამოუკიდებლობას, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამით ზვიადმა საბჭოთა რეფერენდუმის ჩატარების საშუალება გადაკეტა. შემდეგ ხდება საბჭოთა კავშირის დაშლა. სანამ დედამიწა იარსებებს, მანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გაეროშიც იქნება დაფიქსირებული და ყველა ქვეყანა იძულებულია აღიაროს ეს, რადგან სეპარატისტული მოძრაობები ყველა ქვეყანაშია – საფრანგეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში. რეფერენდუმჩატარებულ საქართველოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება რომ დაუშვან, ისინი ავტომატურად დაიშლებიან.

## ხათუნა გოგალაძე დღეს პარლამენტს ეწვევა

გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე, მინისტრის პირველი მოადგილე ნინო შარაშიძე და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები დღეს პარლამენტს ეწვევიან.

გარემოს დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს შეხვდება.

ასევე, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, გასული თვეების განმავლობაში სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის, სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ანგარიშს წარუდგენს.

სამინისტროს ინფორმაციითვე, მინისტრი პარლამენტის კომიტეტის წევრებთან ერთად გამწვანების აქციას, კამპანიის – „დარგე შენი მომავალი“ ფარგლებში, ჩაატარებს.

გარდა ამისა, ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ხათუნა გოგალაძე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეხვდება.

ნიუსპრესი

## მებაჟისთვის ქრთამის შეთავაზების ფაქტზე სომხეთის მოქალაქე დააკავეს

სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროს ოფიცერს, სომხეთის მოქალაქე ა. ა-მ ქრთამის სახით 1500 რუსული რუბლი შესთავაზა.

შემოსავლების სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, 31 მარტს, სომხეთიდან საქართველოში შემოსულმა სომხეთის მოქალაქემ, ზეპირი დეკლარირებისას 1 ცალი ოქროს სამაჯურიდა 1 წყვილი საყურე მიუთითა, ხელჩანთის დათვალიერებისას კი მას არადეკლარირებული, სავარაუდოდ, ოქროს სამეული აღმოაჩნდა, რის შემდეგაც მოქალაქემ ფაქტის დაფარვის მიზნით, ოფიცერს ქრთამის სახით, ფული შესთავაზა.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, კრიმინალურ პოლიციას გადაეგზავნა, სომხეთის მოქალაქე ამჟამად დაკავებულია.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, კომპანია „სითი პარკი“ მძღოლების უფლებებს არღვევს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, მიმდინარე წლის 25 მარტიდან 1 აპრილამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კომპანია „სითი პარკი,“ მძღოლების უფლებებს არღვევს.

კითხვაზე – „მიგაჩნიათ თუ არა, რომ კომპანია „სითი პარკი“ თბილისში მძღოლების უფლებებს არღვევს,“ გამოკითხვაში მონაწილეთა 87,1 პროცენტმა უპასუხა, რომ კომპანია მძღოლების უფლებებს არღვევს, 9,7 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა კი მონაწილეთა 3,2 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## საპატრიარქო, უმცირესობის ენების შესახებ ქარტიასთან დაკავშირებით, პატრიარქის განცხადებას ავრცელებს

საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური, უმცირესობის ენებთან დაკავშირებით ევროპული ქარტიის შესახებ, მისი უწმინდესობის განცხადებას ავრცელებს.

პატრიარქი ამ ეტაპზე, ევროპული ქარტიის პარლამენტის მიერ რატიფიცირებას დაუშვებლად მიიჩნევს.

„ბოლო დროს კვლავ განახლდა მსჯელობა რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ ევროპული ქარტიის თაობაზე, რაც, ჩვენი აზრით, მიუღებელია, რადგან იგი გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებას და ქვეყნისათვის ახალი უმძიმესი პრობლემების შექმნას.

ვიდრე ჩვენთან ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი არ მოგვარებულა და ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღმდგარა, პარლამენტის მიერ ამის რატიფიცირება დაუშვებლად მიგვაჩნია“ – ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

ნიუსპრესი

## თურქეთში 72 წლის ქართველი ქალი გარდაიცვალა

თურქეთში, ქალაქ სამსუნთან ახლოს, 72 წლის ქართველი ქალი, ლია ს. გარდაიცვალა.

ქალბატონი მარტო ცხოვრობდა და თურქეთში სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ლია ს. ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, თუმცა გამოძიება მკვლელობის ვერსიაზეც მუშაობს.

თურქული პრესის ინფორმაციით, გარდაცვლილთან სტუმრად ადგილობრივი მკვიდრი მივიდა, რომელსაც ლია.ს.-მ კარი გაუღო და სწორედ კარის გაღების მომენტში გარდაიცვალა.

გარდაცვლილის ცხედარი ექსპერტიზის მიზნით სამსუნის მორგშია გადატანილი.

მომხდარათან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ნიუსპრესი

# ყოველი მესამე ფეხმძიმე მწეველია?

მერი ნამორაძე



თითქმის ყველამ იცის, რომ მოწევა კიბოს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და სხვა სერიოზულ ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს. დღეისათვის საქართველოში თამბაქოს ეწევა მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 30%, ხოლო ყოველწლიურად, თამბაქოსაგან გამოწვეული დაავადებებით 11 000-მდე ადამიანი იღუპება. შემაშფოთებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში მწეველთა რაოდენობა იზრდება, რაც ძირითადად ქალებისა და მოზარდების ხარჯზე ხდება. საქართველოში, 14-16 წლის სკოლის მოსწავლეების 16% რეგულარული მწეველია. უფრო მეტიც, მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებულია თამბაქოს პირველი გასინჯვის ასაკიც, რომელიც, არსებული მონაცემებით, 9 წელზე ნაკლებია. გარდა ამისა, სხვადასხვა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმყოფება თამბაქოს მეორადი კვამლის პერმანენტული და ინტენსიური ზემოქმედების ქვეშ. „პასიური წევის" შედეგად კი ყოველწლიურად 3000 უდანაშაულო ადამიანი იღუპება.

ერთობ დიდი რისკის ქვეშ არიან ქალები, რომლებიც ორსულობის დროს ეწევიან. ისინი საფრთხეს უქმნიან საკუთარ ჯანმრთელობას და მუცლად მყოფ ნაყოფს. ორსულობის დროს მოწევის საფრთხეებად სპეციალისტები ახალშობილის ნაადრევ დაბადებას, გარკვეულ თანდაყოლილ პათოლოგიებს და ახალშობილთა სიკვდილს მიიჩნევენ. ასევე აღსანიშნავია, რომ თამბაქოს კვამლის გარემოცვაში ყოფნაც კი (პასიური მოწევა) სერიოზულ საფრთხეებს უქმნის ორსულ ქალს და მის ნაყოფს.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ქალებში თამბაქოს მოხმარება დაორსულების შესაძლებლობას ამცირებს. მწეველ ორსულებში მუცლის მოშლის საშიშროება იზრდება. ორსულობის დროს მოწევამ შესაძლოა გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა ან მცირე წონის ახალშობილის დაბადება – ასეთი ახალშობილები უფრო სუსტები არიან და საჭიროებენ საავადმყოფოში ექიმის ხანგრძლივ მეთვალყურეობას. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიწვიოს ახალშობილის სიკვდილი. თამბაქოს მოხმარება ორსულობის პერიოდში და მშობიარობის შემდგომ ახალშობილებში უეცარი სიკვდილის სინდრომის განვითარების საფრთხეს ზრდის.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა, გიორგი ბახტურიძემ „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ სტატისტიკურად დაახლოებით ყოველი მესამე ფეხმძიმე ეწევა თამბაქოს. ბოლო 7 წლის განმავლობაში 2,5-ჯერ გაიზარდა ახალგაზრდა გოგონებში თამბაქოს მოხმარება, რაც აგრესიულ რეკლამას უკავშირდება:

– ადრე ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, ავტომანქანაში ღვედით დაბმულებს გვევლო. განა ცნობიერებით მივიდა ადამიანი იმ დასკვნამდე, რომ სიცოცხლისათვის საშიში იყო ღვედის გარეშე სიარული, არამედ კანონი ამოქმედდა. კანონის შეუსრულებლობა და ამ თამბაქოს პოპულარიზაცია ხელს უწყობს იმას, რომ ფეხმძიმეებშიც გაიზარდა თამბაქოს მოხმარება. შესაბამისად, ორჯერ გაიზარდა მკვდრადშობადობების, ნაკლები წონით შობადობების თუ ნაყოფის სიმახინჯეების რიცხვი. ამ დროს, გინეკოლოგთა ნაწილი ურჩევს ორსულს, გააგრძელოს მოწევა. ანუ გვაქვს პრობლემა სამედიცინო პერსონალშიც, რომელიც არ არის გათვითცნობიერებული და არ ფლობს თანამედროვე ინფორმაციას. პირადად მე ასეთ სამედიცინო პერსონალს ჩამოვართმევდი სალიცენზიო უფლებამოსილებებს და არ მივცემდი საშუალებას ფეხმძიმესთან ემუშავა".

დაავადებათა კონტროლის ცენტრში ამბობენ, რომ სიგარეტისთვის თავის დანებება დაორსულებამდე რამდენიმე ხნით ადრე საუკეთესო გამოსავალია რისკების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, დაორსულების შემდეგაც ქალი რაც უფრო ადრე დაანებებს მოწევას თავს, უფრო მეტად დაიცავს სხვადასხვა ჯანმრთელობის პრობლემებისგან საკუთარ თავს და ნაყოფს.

თამბაქოზე თავის დანებების შემდეგ უმჯობესდება ნაყოფისთვის ჟანგბადის მიწოდება, მცირდება ნაადრევი მშობიარობის რისკი, მცირდება მოწევასთან დაკავშირებული დაავადებების - ფილტვის კიბოს, გულის, სასუნთქი სისტემის და სხვა დაავადებების რისკი. იზრდება თავად ქალბატონის სიცოცხლის ხანგრძლივობა, უმჯობესდება საკვების გემოს აღქმა. ახალბედა დედები, რომლებმაც ორსულობის პერიოდში თავი დაანებეს თამბაქოს მოხმარებას, ხშირად ფიქრობენ, რომ ბავშვის დაბადების შემდეგ მოწევის გაგრძელება მათ შვილს საფრთხეს აღარ შეუქმნის. ამ მოსაზრებას მცდარს უწოდებენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები. ბავშვებს, რომლებიც თამბაქოს მეორადი კვამლის (კვამლი, რომელიც გამოიყოფა მოწევის პროცესში) გარემოცვაში იმყოფებიან, ხშირად აქვთ ჯანმრთელობის, მათ შორის, სასუნთქი სისტემის მხრივ, პრობლემები და ასთმური შეტევების განვითარების მომატებული რისკი. როგორც ამბობენ, სიგარეტზე თავის დანებება რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ქალის და ბავშვის ჯანმრთელობა ამად ღირს.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა, გიორგი ბახტურიძემ „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ დღეისათვის თამბაქოს ინდუსტრიას სახელმწიფოსთვის 150 მილიონი ლარი შემოაქვს, თუმცა, გაცილებით მეტი თანხა გააქვს თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებების მკურნალობასა თუ პრევენციას.

# სოცდახმარება ბენეფიციართა 20%-ს აღუდგინეს

მერი ნამორაძე

სოციალური დახმარებების შეჩერება-შეწყვეტის პროცესმა ყოფილი მმართველი გუნდის უკმაყოფილება გამოიწვია. ნაცებმა მაშინვე სტუმრები აფრინეს „მისასამძიმრებლად" იმ სოცდაუცველთა ოჯახებში, რომლებიც მეოცნებეების მთავრობამ „შეავიწროვა". ახალმა ხელისუფლებამ თავი იმით „იმართლა", რომ დახმარებების მიმღებთა შორის ბევრი უხვშემოსავლიანი „გაჰპარვოდა" ნაციონალების ხელისუფლებას. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთმა ოჯახმა არც იცოდა, რომ ფულადი დახმარება ჰქონდა მიწერილი, რომელსაც ვიღაც სხვა იღებდა. მოკლედ, წყალი ისე აიმღვრა, ტყუილ-მართალის გარკვევას კარგა ხანი დასჭირდა.

სოციალური მომსახურების სააგენტო აცხადებდა, რომ ბაზაში უმწეოთა რაოდენობის ზრდა უკავშირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ, არჩევნებს. შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,

50 000 ლარზე მეტი წლიური შემოსავალი უფიქსირდებოდა 32 ოჯახს; 40-დან 50 ათასამდე ლარზე მეტი უფიქსირდებოდა 31 ოჯახს; 20-დან 40 ათასამდე – 392 ოჯახს; 10-დან 20 ათასამდე შემოსავალი დაუფიქსირდა 2 363 ოჯახს. შსს-ს მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბენეფიციარებს უფიქსირდებოდათ ბოლო წლებში გამოშვებული ძვირადღირებული ავტომობილები. მათ შორის, 2011 წლის ლექსუსი და ტოიოტა ლენდ კრუიზერი.

საჯარო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვეოდა, რომ ბაზაში არსებობდა ე.წ. უმწეო, რომელიც იყო ათეულობით ბინის იპოთეკარი.

უმწეოთა ბაზაში ფიქსირდებოდნენ და ბიუჯეტიდან შემწეობის თანხას იღებდნენ პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის, მუნიციპალიტეტების, თბილისის მერიის სამსახურების და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურების თანამშრომლები.

მოკლედ, თებერვალში შემოსავლების სამსახურიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სოცდახმარება შეუწყდა და შეუჩერდა 17 781 ოჯახს. დღეის მდგომარეობით, შეწყვეტილი დახმარების აღდგენის მოთხოვნით სააგენტოს მიმართა 8 373-მა ოჯახმა.

როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოში ამბობენ, 2013 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, შეწყვეტილი დახმარება აღუდგება 2 721 ოჯახს, ხოლო შეჩერებული დახმარება – 905 ოჯახს, რაც საერთო რაოდენობის 20,4%-ს შეადგენს.

30 ოჯახის საქმით კი საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდებიან, რადგანაც მათ უფიქსირდებოდათ მაღალი შემოსავლები, მაგრამ ისინი აცხადებენ, რომ რეალურად, ეს შემოსავლები არ გააჩნიათ. სააგენტო აგრძელებს რეაგირებას როგორ ზემოთ აღნიშნული შემთხვევების შედეგად შემოსულ განცხადებებზე, ასევე მოქალაქეთა ნებისმიერ განცხადებაზე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მისაღებ დახმარებებს ეხება.

სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ ოჯახებმა, რომლებიც თვლიან, რომ უსაფუძვლოდ შეუჩერდათ სოცდახმარება, უნდა შეიტანონ განცხადება სოციალური მომსახურების სააგენტოში და წარადგინონ მათი შემოსავლების დამადასტურებელი საბუთები. სააგენტო გადამოწმების შემდეგ სამართლის აღდგენას ყველა ბენეფიციარს ჰპირდება.

# ვახტანგ ქილანავა იუბილარია

ვახტანგ, ძმაო! 40 წელი გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენ, ორმოცჯერ 365 ფურცელი ჩამოვხიეთ კალენდარს დღიდან სწავლების დასრულებისა, იმჟამად ერთადერთ უნივერსიტეტში, რომელსაც დამაარსებლის სახელიც კი არ გააჩნდა, მაგრამ აზროვნებისა და სიწმინდის იპოსტასს, თეთრ ტაძარს, რომელსაც უფლისგან ჰქონდა ნაბოძები ქართველი ნაციის საერო ლიდერობა, XX საუკუნის 60-იანელები უნდა დაემოძღვრა ჩვენი თაობის სახით და დამოძღვრა კიდეც – უდიდესი სინდისითა და ზნეობით, ღირსებით, მორალით, საკუთრივ ქართული პატიოსნებით; დაგვმოძღვრა იმ ფაკულტეტზე, რომელიც ყველა მეცნიერების საშოდ იქცა მოკლე ხანში. სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, რომელიც ჩვენ 40 წლის წინ დავამთავრეთ, თვით საბჭოთა იმპერიის დროს, ანექსირებული საქართველოს ურჩობის სიმბოლოდ იქცა...

საინტერესო ცხოვრების მომსწრენი გავხდით დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოში – 2 წელი გასრულდა სახელგანთქმული ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აკადემიური სკოლების გაუქმებიდან, ეროვნული განათლების ფილოსოფოსი მინისტრის ლამის ცრემლმორეული აღსარებიდან აღნიშნული ფაქტის სამწუხარობის გამო, აღარაფერი შეცვლილა. ღმერთმა დაგვიფაროს წინა, დასამარხი ხელისუფლების და დღევანდელის მიმსგავსებიდანაც კი, მაგრამ ასეა ეს და ასე რომ არის, არის ძალიან ცუდი. შენ, ვახტანგ, შორს ხარ დევნილობაში და ყოველთვის ფილოსოფიის ინსტიტუტში გეგულებოდა ჩვენი ჯგუფი, რომლის ყველა (საქაოს მყოფი) წევრი, მეცნიერების დოქტორი და პროფესორია და თვის განმავლობაში ერთი ადამიანის საკმაო ნორმალური სადილის საფასურად ვმუშაობდით. ესეც მოგვისპეს და, ჯერხნობით, ერთმანეთისაგან სრული გაუცხოებისთვის გაგვწირეს. ვიცით ჩვენ, რომ შენ საშინლად განიცდი ამ ყველაფერს, შენ ყველას და ყველაფერს ვერ გაწვდები, მთელი შენი გენეტიკური საკრებულოც შენს კისერზეა. უმძიმესია დევნილის ხვედრი, მაგრამ იმას ხომ ძნელად წარმოიდგენდი, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტი იქცეოდა დევნილად ნაძირალა იეზუიტების ხელში.

არაფერია! 80 წელი რომ მიილევა ჩვენი უნივერსიტეტის დამთავრებიდან და შენ 40 წელი მოგემატება, ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენ ყველანი საუკუნემოსილები ვიქნებით. აღარც ჭკუას მოგვკითხავს არავინ, აღარც – არაფერს. დაგვიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება!..

***შენი ჯგუფელები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის 1973 წლის გამოშვება:***

***ლია აგულავა, ნათელა გიორგაძე, ელზა მელიქიშვილი, მერი ცუცქირიძე, ლაურა დაჭავა, როინ ანდღულაძე, არსენ ბურჯალიანი, გოგი ინასარიძე, ირაკლი კალანდია, კოკა კუტუზიძე, თეიმურაზ მთიბელაშვილი, გერმანე ფაცაცია***

## ქილა (სალაღობო)

ვახტანგ ქილანავას

ვახტანგ, ძმაო, ასე მოხდა,
ქილა გახდი საძმოსი,
სახარებას უმზერ, ოთხთავს,
როგორც ბერი, სალოსი...

დაგვაშორეს დრომ და სივრცემ,
მაგრამ ვერა წაგვართვეს,
ერთადა ვართ, განცდით ისევ
ვუსმენთ არსთა წარმმართველს...

მერე რა, რომ ირაკლი სვამს,
თანაც, მგონი, ყოველდღე,
მე, პირიქით, ჩემდა ჭირად,
ულვინობით მოვეგე...

დახე, თემო არ იცვლება,
ახო-ახო მუშაობს,
აგერ, რითმა გამიფუჭა,
კი არ იმობს, მრუშაობს...

რიონს, ყველა ბალანსმდე,
ზარავს კიბერტექნიკა,
ჩვენ ვიოცებთ, ამდენს როგორ
იმახსოვრებს ქვეყნიდან?..

ახსოვს ყველა, ყველაფერი,
სადასტურიც, უარიც
შეიმეცნა შავი ბერიც,
თეთრი რეპერტუარიც...

...ძმებო, ოთარს მივსწრებოდით,
მერმე ბადრი გადელდა.
წელს მივიღეთ შიშისყოდი
უიმედოდ გათენდა...

ლევანს, ცალკე, უგანის,
მე სიკვდილეთს მიმალავთ? –
მალე მნახავთ, უთენია,
იმ სამყაროს მიმავალს...

აწი რაღა დავითმინო,
როდემდე და რისთვისა? –
არ მომაკლოთ ჭიქა ღვინო
ჩემთვისაც და ძმისთვისაც!..

...ქილა, უნდა გაგიფრთხილდეთ,
ვახტანგურად, ამბორით...
სიყვარულით დავიბრუნოთ
აფხაზეთიც, თაბორიც!..

...ირიჟრაჟა, საფლავებზე
შაშვი იწყებს გალობას,
ვახტანგ, ყველას შეახსენე
ჩვენი წარმავალობა...

ღვინო ისევ გაგვაწყალებს,
... ღმერთმა მოგვცა წყალობა...
წყალი ღვინოდ მოგვიქცია
წყალს წაართვა წყალობა...

ნუმც ვეცდებით, ვჩანდეთ დიდად,
ვეზიაროთ სხივს დილით,
მოვიახლოთ სულიწმინდა
და დავთრგუნოთ სიკვდილი!..

**გერმანე ფაცაცია**

# პროფესიული დაავადებების მქონენი პენსიას მიიღებენ

მერი ნამორაძე

ხელისუფლება იმ პირთა დახმარებას აპირებს, რომლებმაც შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს. საამისოდ უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა, რომელიც თითოეული დაზარალებული პირის განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას პენსიის დანიშვნის თაობაზე მიიღებს.

სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით განისაზღვრა დახმარების მიმღებ პირთა წრე. ამ ეტაპზე განიხილება მაღაროელთა და მეშახტეთა მიერ შესული განცხადებები.

დახმარება გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომელთაც 2007 წლის 1 იანვრამდე დადგენილი აქვთ პროფესიულ დაავადება დამსაქმებლის ბრალეულობით. აღნიშნული პირები დასაქმებული უნდა ყოფილიყვნენ სახელმწიფო 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილ დაწესებულებებში, რომლებიც ლიკვიდირებულ იქნა და არ ჰყავთ უფლებამონაცვლე.

# სამართალდამცველებმა მარნეულში მომხდარი ყაჩაღობა გახსნეს

სამართალდამცველებმა მარნეულში მომხდარი ყაჩაღობა გახსნეს. „ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1984 წელს დაბადებული ჯაშარ კ, 1981 წელს დაბადებული მალხაზ ს, 1990 წელს დაბადებული სალიბეგ გ. და 1976 წელს დაბადებული ედუარდ ნ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. დღეს გამთენიისას, დაახლოებით, 04:00 საათზე ავტომატით, პისტოლეტებითა და დანებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი პიროვნება მარნეულის შესასვლელში მდებარე გაზგასამართ სადგურში შეიჭრა, რა დროსაც ადგილზე ორი ოპერატორი იმყოფებოდა. ბოროტმოქმედებმა 4 000 ლარზე მეტი თანხა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად სამართალდამცველებმა თავდამსხმელების თანამზრახველი, ტაქსის მძღოლი ედუარდ ნ. ცხელ კვალზე, შემთხვევიდან ერთ საათში გაზგასამართი სადგურიდან 2 კილომეტრში, ხოლო სამივე ბოროტმოქმედი მარნეულთან ახლოს, საავტომობილო მაგისტრალზე დააკავეს. დაკავებულთა პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა „აკაეს"-ის ტიპის ავტომატური იარაღი 29 ვაზნით, ბარაბნიანი პისტოლეტი 4 ვაზნით, პისტოლეტი ერთი მჭიდით, დანები, ფულადი თანხა და ნიღბები ამოიღეს. „ოპელის" მარკის ავტომობილიდან, რომელიც თავდამსხმელებმა გადაადგილებისთვის გამოიყენეს, ამოღებულია „ერ-გე-დე"-ს ტიპის ხელყუმბარა", – ნათქვამია შსს-განცხადებაში.

შსს ცნობით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტებით (ყაჩაღობა საცავში ან სადგომში შეღწევით, ჯგუფურად) მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 5-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

პირველი

# რა პრობლემები აქვს თეატრალურ უნივერსიტეტს?

ეკა ირემაშვილი

რა პრობლემები აქვს თეატრალურ უნივერსიტეტს? ამ საკითხის უკეთ გასაცნობად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია მოადგილეებთან ერთად თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა. სამუშაო შეხვედრაზე მინისტრმა, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, გოგი მარგველიშვილმა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

აქტუალურ საკითხებთან ერთად გოგი მარგველაშვილმა ყურადღება კინოფაკულტეტისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აუცილებლობასა და სასწავლო თეატრ „სპარტაკის" აღდგენაზე გაამახვილა, რომელიც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბაზაზე გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულამდე ფუნქციონირებდა.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გოგი მარგველაშვილის განცხადებით, უნივერსიტეტისთვის გაზრდილი ბიუჯეტი საკმარისი აღმოჩნდა კინო-ტელეფაკულტეტისათვის ტექნიკის შესაძენად, თუმცა კინო-ტელეფაკულტეტის ინფრასტრუქტურის მოგვარება ისევ პრობლემად რჩება. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში, კულტურის სამინისტროს ახალი ადმინისტრაციის პირობებში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ბიუჯეტი 1.400.000 ლარიდან 2 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

უნივერსიტეტის რექტორმა და მინისტრმა იმსჯელეს სახელოვნებო სასწავლებლების დაფინანსების ალტერნატიული გზების მოძიებაზეც.

– ჩვენ სულ გვინდოდა მოსვლა და ადგილზე გაცნობა ამ უმაღლესი სასწავლებლის პრობლემებისა, რადგან ერთხელ მოვედით, აწი სულ ვივლით აქ და ეტაპობრივად გავეცნობით როგორც სიახლეებს, ასევე პრობლემებს. ჩვენ გვაქვს განწყობა და შემართება, რომ ხელი შევაშველოთ სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ საქმეები. კულტურის სამინისტრომ და თეატრალურმა უნივერსიტეტმა ერთად უნდა დავსახოთ გეგმები და დავძლიოთ ყველა ის პრობლემა, თუკი რამე ამ სასწავლებელში არსებობს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სასწავლებლის კედლებმა არაერთი ცნობილი ხელოვანი გამოზარდა. მათით ნამდვილად ვამაყობთ, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალ თაობებშიც არაერთი ვარსკვლავი აღიზარდოს. ამასწინათ ვიყავი აკადემიაში, გვაინტერესებს, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი, რა გეზი აქვს აღებული აკადემიას, ისევე, როგორც სხვა უმაღლესი სასწავლებლები. იმ კვირას აუცილებლად მივალ კონსერვატორიაში, შევხვდები, გავიგებ მათ პრობლემებს, რომ სამინისტრო მაქსიმალურად იყოს საქმის კურსში, რა ხდება ამ სასწავლებლებში და რა პრობლემებია, რადგან მიმაჩნია, რომ ძველი პრობლემები ახალი გზებით უნდა გადაიჭრას, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

კულტურის მინისტრმა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ორივე კორპუსი და ყოფილი სასწავლო თეატრი „სპარტაკი" დაათვალიერა.

– ჩვენ მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ, რა შედეგი გვინდა მივიღოთ კინოსა და დრამის ფაკულტეტებისგან და რა გვჭირდება ამ შედეგის მისაღწევად. როცა დაიწყება კონკრეტული საუბარი ჩვენ უნივერსიტეტსა და სამინისტროს შორის და განისაზღვრება მთავარი – რა გვინდა, რა შედეგი გვჭირდება, მაშინ ყველაფერი გამოვა. ეს იყო, მართლაც რომ სამუშაო შეხვედრა, თანაც პირველი. საუბარი შეეხო ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე მდგარ ამოცანებსა და პრობლემებს, რომელიც გვაქვს და გვინდა ეს პრობლემები გადაიჭრას. მჯერა, რომ დადებითი შედეგი ექნება ასეთ შეხვედრებს და მომავალშიც სიამოვნებით დაველოდებით, – განაცხადა გოგი მარგველაშვილმა.

გურამ ოდიშარია შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, გაეცნო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, მოინახულა უნივერსიტეტის ორივე ადმინისტრაციული კორპუსი, რაც არსებული მდგომარეობის უკეთ გაცნობაში დაეხმარა. ბოლო წლების მანძილზე ეს არის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთა შორის პირველი ვიზიტი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა.

– ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის გააქტიურების გადაწყვეტილება განაპირობა იმ გამოწვევებმა, რომლებიც დღეს ქართული თეატრისა და კინოს წინაშე დგას. ეროვნული ბიბლიოთეკა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთობლივი ძალებით გეგმავენ როგორც სამეცნიერო და კვლევითი პროექტების განხორციელებას, ასევე ერთობლივი კულტურული ღონისძიებების დაგეგმვას. რა თქმა უნდა, ორი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად შესრულებული ყველა სამუშაო ქართული თეატრისა და კინოს განვითარებასა და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, – განაცხადა თეატრალური უნივერსიტეტის რექტორმა.

მემორანდუმის გაფორმება გაუმარტივებს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებით და საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებით სარგებლობას.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა თეატრის საერთაშორისო დღეს ეტიუდების ფესტივალიც ჩაატარა.

– საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მარჯანიშვილის თეატრმა ერთად აღნიშნეს თეატრის საერთაშორისო დღე. უკვე მეხუთე წელია, მარჯანიშვილის თეატრი „ეტიუდების ფესტივალს" მასპინძლობს. ამასთან დაკავშირებით ნაჩვენები იქნა 12 სარეჟისორო ეტიუდი, თეატრალური უნივერსიტეტის პირველი, მეორე და მესამე კურსის სტუდენტებმა მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე სამსახიობო ეტიუდები წარმოადგინეს. ეტიუდთა ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 7 წუთს და გამოყენებული განათება, ხმა და დეკორაცია მინიმუმამდე იყო დაყვანილი. 6 სამსახიობო ეტიუდის ნახვის შემდეგ, კომპეტენტურმა ჟიურიმ დროებით დატოვა დარბაზი და მიიღო გადაწყვეტილება, გამოავლინა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: გრან პრი, საუკეთესო სარეჟისორო და სამსახიობო ეტიუდები, საუკეთესო შემსრულებელი გოგო და ბიჭი, სტუდენტური ჟიურის სიმპათია. ნომინაციებში გამარჯვებულებს, თეატრალურმა უნივერსიტეტმა და მარჯანიშვილის თეატრმა გადასცეს ფულადი ჯილდოები. თეატრის საერთაშორისო დღე, უკვე მეხუთედ აღინიშნება ამგვარად, სამომავლოდ კი მისი განვითარება და საერთაშორისო მასშტაბის მიცემაა დაგეგმილი. ფესტივალის ორგანიზატორია უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, ფესტივალის მხატვრული ხელმძღვანელი კი თემო კუპრავაა. ფესტივალის მიზანია თეატრის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, სტუდენტებში პროფესიული მოტივაციის ამაღლება, შემოქმედების პოპულარიზაცია და ამით მათი წახალისება. ასევე, ახალი სახეების აღმოჩენა და ტალანტების გამოვლენა, – აცხადებს თეატრალური უნივერსიტეტის წარმომადგენელი ჯაბა სიხარულიძე.

ორდღიანი საკონკურსო პროგრამის შემდეგ, „ეტიუდების ფესტივალის" ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა. გრანპრი საუკეთესო ეტიუდი გახდა „რრორ-ერორი" (რეჟისორი ავთანდილ დიასამიძე), საუკეთესო სარეჟისორო ეტიუდი „ცოცხალი" (რეჟისორი დათო ხორბალაძე), საუკეთესო სამსახიობო ეტიუდი „ქალის ცხოვრება" აშოტ სიმონიანი, საუკეთესო მსახიობი ქალი თათა თავდიშვილი ეტიუდი „წერო", საუკეთესო მსახიობი მამაკაცი მიშო არჩვაძე ეტიუდი „ცირკი", სტუდენტური ჟიურის სიმპათია ეტიუდი „პაემანი", სტუდენტური თვითმმართველობის სიმპათია გვანცა ენუქიძე ეტიუდი „ცოცხალი". „ეტიუდების ფესტივალი" წელს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ფესტივალი თეატრის საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან ერთად თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის 90-ე წლის იუბილეს მიეძღვნა.

# ეროვნული კინოცენტრი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელიც კინოცენტრის პარტნიორ ორგანიზაციებთან ანონიმურად გაგზავნილ წერილს შეეხება. წერილში ლაპარაკია გაზეთ „ალიაში" დაბეჭდილ სტატიაზე და სტატიაზე დაყრდნობით მე-9 არხის ეთერში გასულ სიუჟეტზე, რომლებიც ემსახურება ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე და ფაქტების დამახინჯებით კინოცენტრის საქმიანობის დისკრედიტაციას:

„სამწუხაროდ, ანონიმური წერილი 27 მარტს მიუვიდა ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდის – ევრიმაჟის 35 წევრს, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ადმინისტრაციებს და მსოფლიო კინოინდუსტრიის არაერთ წარმომადგენელს, რომლებიც საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან არაერთ ერთობლივ პროექტს ახორციელებენ", – ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის საგანგებო წერილში.

ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე უკვე დევს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ნანა ჯანელიძის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას და კინოკავშირის თავმჯდომარის ელდარ შენგელაიას განცხადებები ამ თემაზე.

ეროვნულ კინოცენტრში საექსპერტო კომისიის წევრთა რაოდენობა გაიზარდა. ეს გადაწყვეტილება კინოცენტრის ახალმა დირექტორმა ნანა ჯანელიძემ მიიღო. სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმის კომისიის წევრთა რაოდენობა 9 წევრამდე, სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმისა და დოკუმენტური ფილმის კომისიათა შემადგენლობა კი შვიდ წევრამდე გაიზარდა. კინოცენტრი მუშაობს კიდევ ერთი, კოპროდუქციის კომისიის დასამტკიცებლად, რომელიც სავარაუდოდ 5 წევრისგან იქნება შემდგარი.

– ჩვენ უკვე ვმუშაობთ საექსპერტო კომისიის შემადგენლობაზე. მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ კომისია ყველა თაობის პერსონალიებით ყოფილიყო დაკომპლექტებული. გარდა ამისა, გავზარდეთ კომისიის წევრთა რაოდენობა. კინოს სფეროში ყველა აქტიური ადამიანი ცდილობს კინოცენტრში თავისი პროექტი შეიტანოს. მეტი წევრი კინოცენტრის კომისიაში კი პროექტების დამტკიცებისას ობიექტურობის დაცვას მეტად უზრუნველყოფს. 9 წევრის შემთხვევაში უკვე მეტნაკლებად შესაძლებელია თქვა, რომ დაცულია ობიექტურობა. 3 ადამიანი შესაძლოა რაღაც გავლენის ქვეშ მოექცეს, მაგრამ 9 წევრის შემთხვევაში ეს უკვე რთულია, – აცხადებს ნანა ჯანელიძე.

ცნობილია, რომ საექსპერტო კომისიების წევრთა რაოდენობა კინოცენტრის არსებობის მანძილზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო, თუმცა 5 წევრს არ აღემატებოდა. ამ კვირაში ეროვნული კინოცენტრის სამი საექსპერტო კომისია, ახალი მმართველის დანიშვნის შემდეგ, კინოცენტრში პირველად შეიკრიბება.

კომისიის წევრების ვინაობას ეროვნული კინოცენტრი მხოლოდ კომისიის წევრებთან შეთანხმებით გამოაქვეყნებს.

– ეროვნული კინოცენტრის გამოცდილებით, რომელიც საექსპერტო კომისიის წევრი თავადაც ყოფილა, კომისიის წევრთა ვინაობის საჯაროობის შემთხვევაში, ისინი ხშირად დიდი პრესის ქვეშ ექცევიან რეჟისორების მხრიდან. ვინაიდან კინოცენტრის კანონმდებლობა ამას არ არეგულირებს. ამას მხოლოდ კომისიის წევრებთან შეთანხმებით გადავწყვეტთ, – აცხადებს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი. საექსპერტო კომისიის მიზანი კი კონკურსის წესით საუკეთესო კინოპროექტების გამოვლენაა მათი რეალიზების მიზნით. კინოცენტრის დებულების თანახმად, საექსპერტო კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 11 წევრისაგან, რო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# სუპერლიგა დაძაბული ბოლო ტურების მოლოდინშია

**ოლიმპი – რუსთავი 84:72**
(24:21; 23:16; 15:24; 22:11)

ტურის ცენტრალურ მატჩში რუსთაველებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა ბოლო წუთებში წარმატების მისაღწევად ძალა აღარ ეყოთ.

სანამ ოლიმპელები თამაშს დაალაგებდნენ, რუსთაველებმა დაწინაურება მოახერხეს. კაილი ნელსონისა და ნეით ბოუის აქტიურობით სტუმრები 19:11 იგებდნენ, თუმცა დარჩენილ დროში გია კაზანჯიანის გუნდმა შედეგიანობას უმატა და პირველ შესვენებაზე 3-ქულიანი უპირატესობით გავიდა – 24:21.

მეორე ათწუთეულში ოლიმპელებმა ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს და უკვე 10 ქულით დაწინაურდნენ.

მესამე მეოთხედის მესამე წუთზე თბილისელთა უპირატესობა 15 ქულამდე გაიზარდა. მარტინას ანდრიუკაიტისის საჯარიმოების შემდეგ ანგარიში 54:39 გახდა, თუმცა რუსთაველებმა ძალები მოიკრიბეს, რამდენიმე სამქულიანი ჩააგდეს, მეტოქეს კი კარგი დაცვის ხარჯზე არ ჩააგდებინეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს – 61:62.

ბოლო მეოთხედში „ოლიმპის" კალათბურთელებს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათ. თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე სხვაობა მხოლოდ 2 ქულა იყო, თუმცა თბილისელებმა დარჩენილ დროში იმდენად შედეგიანად ითამაშეს, რომ რუსთაველებისთვის წარმატების შანსი აღარ მიუციათ.

„ოლიმპში" 20 ქულითა და 15 მოხსნით საუკეთესო სერბი ცენტრი სტევან მილოშევიჩი გახლდათ, ორმაგი დუბლი შეასრულა ლევან ფაცაციამაც – 16 ქულა, 10 პასი. რუსთაველთაგან ორმაგი დუბლის ავტორი კაილი ნელსონი გახდა – 19 ქულა, 10 მოხსნა. მისმა თანამემამულე ნეით ბოუიმ კი შეხვედრა 16 ქულით დაასრულა.

### მატჩის შემდეგ

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

– მადლობა ჩემს გუნდს ასეთი კარგი თამაშისთვის. ბიჭებმა იბრძოლეს და გუნდმა თავისი ძალა გამოაჩინა. მილოშევიჩი ჯერჯერობით ისევ არ იმყოფება თავის ოპტიმალურ ფორმაში. მინდა აღვნიშნო ფაცაციას, ანდრიუკაიტისისა და ბერიშვილის ბევრად უკეთესი თამაში წინა ტურთან შედარებით.

**მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი):**

– ვულოცავ მოწინააღმდეგეს გამარჯვებას. რაც შეგვეხება ჩვენ, სამწუხაროა, რომ დავმარცხდით. ვფიქრობ, ეს თამაში პლეი ოფისთვის მოსამზადებლად გამოგვადგება.

**მარტინას ანდრიუკაიტისი (ოლიმპი):**

– ძალიან მნიშვნელოვანი თამაში იყო როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ეს გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა. მიხარია, რომ ყველაფერი გამოვიდა და მწვრთნელის დავალებები ზუსტად შევასრულეთ.

**დინამო – არმია 74:69**
(20:20; 14:17; 19:18; 21:14)

თბილისის „დინამომ" პრინციპული გამარჯვება მოიპოვა – ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა „არმიას" მოუგო. მატჩის ბედი ბოლო წუთზე ამერიკელმა ფლინ კლაიმენმა გადაწყვიტა

მან საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე ოქროს სამქულიანი ჩააგდო და „დინამო" 72:69 დააწინაურა.

მართალია, არმიელებს შეტევისთვის ნახევარი წუთი ჰქონდათ, მაგრამ დინამოელებმა დაცვაშიც იყოჩაღეს, პერიმეტრი საიმედოდ გადაკეტეს და ირაკლი საყვარელიძეს უხერხული სიტუაციიდან მოუხდა გამთანაბრებელი სამიანის სროლა, რომელიც კალათში არ ჩაეშვა, კლაიმენმა კი საჯარიმოებით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 74:69.

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, ძნელია, მიმდინარე ჩემპიონატში ასეთი თანაბარი თამაში მოიძებნოს. ანგარიში თანაბრად იზრდებოდა. ანგარიში 12-ჯერ იყო თანაბარი, ხოლო ლიდერი 10-ჯერ შეიცვალა. კვანძი არც ბოლო წუთზე გაიხსნა, კლაიმენის სროლამდე ანგარიში თანაბარი იყო.

დინამოელებმა გამარჯვებას გუნდური თამაშით მიაღწიეს. ხუთმა კალათბურთელმა 10-ქულიან ზღვარს გადააბიჯა: კლაიმენი (17), კარტერი (14), ოლუიჩი (12), კარიმი (11) და ჩიკვილაძე (10). როგორც ხედავთ, დინამოელთა ოთხივე ლეგიონერმა ითამაშა და ყველამ დამაჯერებლად. შეიძლება ითქვას, რომ ხოშტარიას გუნდმა ოპტიმალური შემადგენლობით მიმდინარე სეზონში პირველად ითამაშა. მწყობრში ჩადგნენ მილან ოლუიჩი და ქიან კარტერი, რომელთა დიდი დამსახურებაც იყო დღევანდელ მატჩში „არმიის" დამარცხება. რაც შეეხებათ წაგებულებს, კოტე ტულუშის გუნდში 20 ქულით საყვარელიძე გამოირჩა, 12 ქულა ჰქონდა ზვიად ბაბიაშვილს, ხოლო ბექა წივწივაძემ შეხვედრა 10 ქულით დაასრულა.

**ირაკლი ხოშტარია (დინამო):**

– მიუხედავად წინა ტურში სოხუმთან წაგებისა და დღევანდელი გამარჯვებისა, ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ამდენი თვის შემდეგ მოხერხდა შემადგენლობის შეკრება. თუმცა სასურველი ფორმისგან შორს ვართ, მეტი პოტენციალი გვაქვს. დღეს ბრძოლის და გუნდური თამაშის ხარჯზე გავიმარჯვეთ. არმია ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია და თუ ტრავმებმა არ შეაწუხეს, რეალური კანდიდატია ჩემპიონობის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპორტში იღბალიც საჭიროა.

**კოტე ტულუში (არმია):**

– ვულოცავ „დინამოს" ღირსეულ გამარჯვებას. ძალიან ლამაზი, სანახაობრივი და საინტერესო თამაში გამოვიდა, მიუხედავად წაგებისა, დიდი სიამოვნება მივიღე. სუპერლიგა წელს განსაკუთრებით დაძაბულია, თითოეული ადგილისთვის სერიოზული ბრძოლაა. „დინამო" გამორჩეულად საინტერესო გუნდია. ტრავმების მერე ძნელია ფორმაში შესვლა, მაგრამ დღეს ვიხილეთ, რამდენად ძლიერი და ანგარიშგასაწევი გუნდია. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით. დასანან თამაშებს ვაგებთ, ვერ ვერევით ლეგიონერებს. თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ. დიდი მადლობა ჩემი გუნდის ყველა მოთამაშეს. დღეს არ გაგვიმართლა. როგორც ირაკლიმ აღნიშნა, იღბალი საჭიროა და, იმედია, პლეი ოფებში გავიმარჯვებთ.



**ფლინ კლაიმენი (დინამო):**

– ვულოცავ ჩემს გუნდს, გუნდური თამაშის ხარჯზე გავიმარჯვეთ. მხოლოდ მეორე თამაშია, რაც ასეთი შემადგენლობა შევიკრიბეთ და მიხარია, რომ გუნდი უკვე შედგა.

**გიორგი შარაბიძე (არმია):**

– ვულოცავ დინამოს გამარჯვებას. სანახაობრივი მატჩი იყო. რაც შეგვეხება ჩვენ, ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დავმარცხდით.

**შსს – ქუთაისი 72:64**
(18:18; 21:19; 15:12; 18:15)

სუპერლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა „შსს-აკადემიამ" მორიგი პრინციპული მეტოქე დაამარცხა. გიორგის კეცელიძისის გაწვრთნილმა აკადემიელებმა „ქუთაისს" 72:64 მოუგეს.

ამ მატჩში იმერული კლუბის ერთადერთი ეფექტური იარაღი სამქულიანი სროლები იყო, რომლებსაც ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ხეირიანად ისროდნენ და საქმეც კარგად მისდიოდათ.

დავით უსტიაშვილის გუნდი ცნობილია თავისი შორი სროლებით და, თუ წაუვიდა, მისი გაჩერება ძნელია. ზაურ ფაშაევმა, გიორგი და დავით ბარბაქაძეებმა 3-3 სამიანი ჩააგდეს, მთლიანობაში კი ქუთაისელებმა 12 შორი ტყორცნა მიითვალეს და არცაა გასაკვირი, რომ მეტოქეს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ.

პირველი პერიოდი 18:18 დასრულდა, მეორეს შემდეგ კი აკადემიელები 2 ქულით ლიდერობდნენ. გადამწყვეტი ათწუთეულის წინ „შსს-აკადემია" 5 ქულით იგებდა, თუმცა დიდიას, ფაშაევისა და ძმები ბარბაქაძეების სამქულიანების წყალობით თამასის დასრულებამდე 7 წუთით ადრე დაწინაურება მოახერხეს – 57:56.

ეს აღმოჩნდა მაქსიმუმი, რასაც ქუთაისელებმა მიაღწიეს. ყველაზე გადამწყვეტ მომენტში იმერლებმა სამიანები ვერ ჩააგდეს. რიჩარდ მათიაშვილმა კი სცადა სამწამიანიდან ქულების მოპოვება, მაგრამ კირკ არჩიბეკმა და ბენჯამინ რეიმონდმა მას ამის საშუალება არ მისცეს. თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე „შსს-აკადემიის" უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია, რაც მეტწილად რეიმონდის, არჩიბექისა და რეზო როგავას დამსახურება იყო. ამ დროს 5 პერსონალურის გამო მოედნიდან მათიაშვილი გავარდა და ქუთაისელთა დამარცხებამ გარდაუვალი ხასიათი მიიღო.

აკადემიელთა შორის 18 ქულით და 10 მოხსნით საუკეთესო იყო ბენჯამინ რეიმონდი, 17-17 ქულა დააგროვეს როგავამ და არჩიბექმა. ქუთაისელთაგან 16 ქულა ჰქონდა დავით ბარბაქაძეს, მისმა ძმა გიორგიმ 14 მოაგროვა, ხოლო ზაურ ფაშაევმა შერვედრა 11 ქულით დაასრულა.

**გეორგის კესელიდისი (შსს აკადემია):**

– დღევანდელი გამარჯვება ჩემთვის განსაკუთებული არ ყოფილა. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ახლა ჩემმა კალათბურთელებმა გაიაზრეს, რომ ტრავმირებული ლიდერების არყოფნის შემთხვევაშიც შეგვიძლია მოგება. სწორ დაცვას შეუძლია, გამარჯვება მოაპოვებინოს გუნდს. პირველი 2 პერიოდი ცუდად ჩავატარეთ, ხარვეზები გქვონდა, თუმცა მეორე პერიოდში ბიჭებმა ზუსტად ის დაცვა ითამაშეს, რაც ვთხოვე და ეს შედეგზეც აისახა. ასეთი დაცვა რომ გვეთამაშა პირველივე ტაიმში, შეიძლებოდა უფრო დიდი სხვაობით მოგვეგო. მადლობა მოწინააღმდეგეს, დავით უსტიაშვილს დიდ პატივს ვცემ, ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, წარმატებებს ვუსურვებ პლეიოფში. მინდა აღვნიშნო რეზო როგავას კარგი თამაში, მისი დღევანდელი სტატისტიკიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად იმსახურებს ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვედრას.

**დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):**

– მინდა მივულოცო მოწინააღდეგეს დამსახურებული გამარჯვება, საკმაოდ კარგი ლეგიონერები ჰყავს, რეიმონდის სახით კი, დიდი ძალა შეიძინეს, ის კარგად შეეწყო გუნდს და მაღალ დონეზე ჩაატარა ბოლო თამაშები. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ტრავმირებულმა ბუბა კვიმსაძემ დღეს მაქსიმუმი გააკეთა და გვქონდა შანსი, მოგვეგო. საბოლოო ჯამში, დაძაბული და საინტერესო თამაში გამოვიდა.

**რეზო როგავა (შსს აკადემია):**

– დაძაბული შეხვედრა იყო. ჩვენი გუნდის პლუსი დაცვაში კარგი თამაშია. პირველ ტაიმში სუსტად დავიწყეთ, თუმცა შემდეგ შორი სროლებიც წაგვივიდა, გაქცევა მოვახერხეთ და მოვიგეთ.

**ბუბა კვიმსაძე (ქუთაისი):**

– პირველ რიგში ვულოცავ შსს აკადემიას, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია და გამოირჩევა ორგანიზებული თამაშით თავდასხმასა და დაცვაში. კარგი თამაში გამოვიდა. ვიბრძოლეთ, თუმცა, გარკვეული ხარვეზების გამო, გამარჯვების მოპოვება ვერ მოვახერხეთ.

**თსუ – სოხუმი 71:76**
(20:21; 16:15; 18:14; 17:26)

პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი გუნდების შეხვედრა დაძაბული გამოდგა და სოხუმელთა გამარჯვებით დასრულდა.

მატჩი თავიდან ბოლომდე დაძაბული იყო. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვებას. პირველი მეოთხედი სოხუმელებმა 21:20 მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი ანგარიში თანაბარი იყო – 36:36.

თსუ-ს კვლავ აკლდა კოტდივუარელი ლეგიონერი სერჟ ასელაინი, თუმცა გუნდური სულისკვეთებით სტუდენტები მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა. მესამე პერიოდში სოხუმელებმა 9 ქულით (49:40) დაწინაურება მოახერხეს, მაგრამ თსუ-მ ჩამორჩენის აღმოფხვრა ბოლო მეოთხედში მოახერხა.

ყველაფერი ბოლო წუთზე გადაწყდა. 3 ქულით ჩამორჩენილმა თსუელებმა ანგარიშის შორი სროლით გათანაბრება სცადეს, თუმცა ვახტანგ ჩქარეულზე სოხუმელები დაჯარიმდნენ და ეს უკანასკნელი საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე დადგა. თსუ-ელმა პირველი სროლა ააცილა, მეორე ჩააგდო და მესამეც ააცილა. ფარიდან ასხლეტილი ბურთი ჩქარეულის თანაგუნდელმა გიორგი ხანიაშვილმა მოხსნა, რომელმაც სწრაფი გარღვევა განახორციელა, მაგრამ გამთანაბრებელი ბურთი ააცილა. აცილებული სოხუმელმა ბოსკო სტოიაკოვიჩმა მოხსნა, რომელზეც ჩქარეული არასპორტულად დაჯარიმდა. მატჩის ბედიც აქ გაირკვა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო სერგო ათუაშვილი გახდა, რომელმაც 18 ქულასთან ერთად 25 მოხსნა მიითვალა. აღსანიშნავია, რომ მოხსნებში მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგი (26) სწორედ ათუაშვილს ეკუთვნის. 17 ქულა და 13 მოხსნა ჰქონდა ვახტანგ ქადარიას. თსუ-ში 16-16 ქულა ჰქონდათ დავით ხიზანიშვილსა და ვახტანგ ჩქარეულს, ხოლო გივი ბაქრაძემ პირად ანგარიშზე 15 ქულა ჩაიწერა.

**ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):**

– ძალინ დაძაბული და ემოციური თამაში იყო, რომელშიც აუცილებლად ჩვენ უნდა გაგვემარჯვა. ბიჭებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, შეცდომები დავუშვი მეც. თუმცა, საბედნიეროდ, მოვახერხეთ მობილიზება და გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩვენი ბიჭები გადაღლილები იყვნენ და ფსიქოლოგიური მომენტიც ჰქონდათ.

**გიორგი ვახანია (თსუ):**

– მეტოქემ ფარზე დიდი უპირატესობით გვაჯობა, რაც ჩვენი მარცხის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო. კარგად იასპარეზა სერგო ათუაშვილმა, რომლის ანგარიშზე 25 მოხსნაა. რთულია ასეთ გუნდთან თამაში, სადაც 25 მოხსნას 1 მოთამაშე აგროვებს.

**რატი ბააკაშვილი (სოხუმი):**

– მოხარული ვართ ამ გამარჯვებით. ეს მოგება ძალიან პრინციპული და მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. ვეცდებით, დღევანდელი შეცდომები მომავალ მატჩებში მაქსიმალურად გა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ............ ვილა-ლივერპული 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 30 | 25 | 2 | 3 | 70:31 | 77 |
| 2.სიტი | 30 | 18 | 8 | 4 | 55:26 | 62 |
| 3.ტოტენჰემი | 31 | 17 | 6 | 8 | 53:38 | 57 |
| 4.ჩელსი | 30 | 16 | 7 | 7 | 59:32 | 55 |
| 5.არსენალი | 30 | 15 | 8 | 7 | 59:33 | 53 |
| 6.ევერტონი | 30 | 13 | 12 | 5 | 47:35 | 51 |
| 7.ლივერპული | 31 | 13 | 9 | 9 | 59:40 | 48 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 13 | 5 | 13 | 41:41 | 44 |
| 9.სუონსი | 31 | 10 | 10 | 11 | 41:40 | 40 |
| 10.ფულემი | 29 | 9 | 9 | 11 | 40:44 | 36 |
| 11.ვესტ ჰემი | 30 | 10 | 6 | 14 | 35:44 | 36 |
| 12.საუთჰემპტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 44:53 | 34 |
| 13.სტოკი | 31 | 7 | 13 | 11 | 27:36 | 34 |
| 14.ნორვიჩი | 31 | 7 | 13 | 11 | 28:47 | 34 |
| 15.ნიუკასლი | 31 | 9 | 6 | 16 | 41:56 | 33 |
| 16.სანდერლენდი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:43 | 31 |
| 17.უიგანი | 30 | 8 | 6 | 16 | 36:56 | 30 |
| 18.ასტონ ვილა | 31 | 7 | 9 | 15 | 32:58 | 30 |
| 19.რედინგი | 31 | 5 | 8 | 18 | 36:61 | 23 |
| 20.ქპრ | 30 | 4 | 11 | 15 | 26:48 | 23 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ოსასუნა ............. 1:3
მალიორკა-დეპორტივო ............... 2:3
ესპანიოლი-სოსიედადი ............... 2:2
ატლეტიკო-ვალენსია .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 90:33 | 75 |
| 2.რეალი | 29 | 19 | 5 | 5 | 72:28 | 62 |
| 3.ატლეტიკო | 29 | 19 | 4 | 6 | 51:25 | 61 |
| 4.სოსიედადი | 29 | 13 | 9 | 7 | 51:37 | 48 |
| 5.მალაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 41:28 | 47 |
| 6.ვალენსია | 29 | 13 | 7 | 9 | 42:41 | 46 |
| 7.ბეტისი | 28 | 13 | 4 | 11 | 39:42 | 43 |
| 8.ხეტაფე | 28 | 12 | 6 | 10 | 38:44 | 42 |
| 9.რაიო | 29 | 13 | 2 | 14 | 38:49 | 41 |
| 10.ლევანტე | 29 | 11 | 7 | 11 | 34:41 | 40 |
| 11.სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43:41 | 38 |
| 12.ესპანიოლი | 29 | 9 | 9 | 11 | 35:39 | 36 |
| 13.ვალიადოლიდი | 29 | 9 | 8 | 12 | 37:41 | 35 |
| 14.ბილბაო | 28 | 9 | 5 | 14 | 32:51 | 32 |
| 15.ოსასუნა | 29 | 8 | 7 | 14 | 26:33 | 31 |
| 16.გრანადა | 28 | 7 | 7 | 14 | 26:39 | 28 |
| 17.სარაგოსა | 29 | 7 | 6 | 16 | 26:43 | 27 |
| 18.სელტა | 29 | 6 | 6 | 17 | 29:43 | 24 |
| 19.მალიორკა | 29 | 6 | 6 | 17 | 32:58 | 24 |
| 20.დეპორტივო | 29 | 5 | 8 | 16 | 35:62 | 23 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მირანდესი-ვილიარეალი ............. 1:5
უელვა-ბარსელონა ბ .................. 2:0
მურსია-ალკორკონი ................... 1:1
ნუმანსია-ხირონა ...................... 2:1
რასინგი-ელჩე ............................ 0:0
უესკა-ალმერია .......................... 1:2
ერკულესი-პონფერადინა ............ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-ნიურნბერგი .......... 2:2
ფიურტი-აინტრახტი ................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 23 | 3 | 1 | 78:13 | 72 |
| 2.დორტმუნდი | 27 | 15 | 7 | 5 | 62:32 | 52 |
| 3.ლევერკუზენი | 27 | 14 | 6 | 7 | 50:35 | 48 |
| 4.შალკე | 27 | 12 | 6 | 9 | 46:43 | 42 |
| 5.აინტრახტი | 27 | 12 | 6 | 9 | 42:39 | 42 |
| 6.მაინცი | 27 | 10 | 9 | 8 | 34:30 | 39 |
| 7.ფრაიბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 35:33 | 39 |
| 8.გლადბახი | 27 | 9 | 11 | 7 | 35:37 | 38 |
| 9.ჰამბურგი | 27 | 11 | 5 | 11 | 32:43 | 38 |
| 10.ჰანოვერი | 27 | 11 | 4 | 12 | 49:46 | 37 |
| 11.ნიურნბერგი | 27 | 8 | 11 | 8 | 31:34 | 35 |
| 12.ვოლფსბურგი | 27 | 8 | 8 | 11 | 32:42 | 32 |
| 13.შტუტგარტი | 27 | 9 | 5 | 13 | 29:46 | 32 |
| 14.ვერდერი | 27 | 8 | 7 | 12 | 43:52 | 31 |
| 15.ფორტუნა | 27 | 7 | 8 | 12 | 33:40 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 27 | 5 | 9 | 13 | 23:40 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 27 | 5 | 5 | 17 | 30:52 | 20 |
| 18.ფიურტი | 27 | 2 | 9 | 16 | 18:45 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-კაიზერი ................ 1:1
ფრანკფურტი-უნიონი ................. 3:0
კიოლნი-რეგენსბურგი ................ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-მარსელი ............................ 0:1
ბრესტი-ლილი ............................ 1:2
ლიონი-სოშო ............................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 30 | 18 | 7 | 5 | 54:20 | 61 |
| 2.მარსელი | 30 | 16 | 6 | 8 | 35:32 | 54 |
| 3.ლიონი | 30 | 15 | 8 | 7 | 49:32 | 53 |
| 4.სენტ ეტიენი | 30 | 13 | 11 | 6 | 50:25 | 50 |
| 5.ლილი | 30 | 13 | 10 | 7 | 43:31 | 49 |
| 6.ნიცა | 30 | 13 | 9 | 8 | 41:34 | 48 |
| 7.მონპელიე | 30 | 13 | 6 | 11 | 44:36 | 45 |
| 8.ლორიენი | 30 | 11 | 11 | 8 | 48:45 | 44 |
| 9.ბორდო | 30 | 10 | 13 | 7 | 29:25 | 43 |
| 10.რენი | 30 | 12 | 6 | 12 | 41:41 | 42 |
| 11.ტულუზა | 30 | 10 | 11 | 9 | 36:34 | 41 |
| 12.ვალანსიენი | 30 | 9 | 9 | 12 | 40:45 | 36 |
| 13.ბასტია | 30 | 10 | 6 | 14 | 38:56 | 36 |
| 14.აიაჩო | 30 | 8 | 11 | 11 | 32:40 | 33 |
| 15.ევიანი | 30 | 7 | 10 | 13 | 34:43 | 31 |
| 16.რეიმსი | 30 | 7 | 10 | 13 | 28:37 | 31 |
| 17.სოშო | 30 | 8 | 7 | 15 | 32:47 | 31 |
| 18.ბრესტი | 30 | 8 | 5 | 17 | 29:44 | 29 |
| 19.ნანსი | 30 | 6 | 9 | 15 | 28:47 | 27 |
| 20.ტრუა | 30 | 4 | 13 | 13 | 36:53 | 25 |

**შენიშვნა:**
*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ჰოლანდია. ეშედივიზიონი**

როდა-პსვ .................................. 2:2
ვიტესი-ზვოლე ........................... 2:1
ვალვაიკი-დენ ჰააგი .................. 4:0
ერაკლესი-ალკმაარი .................. 1:2
აიაქსი-ნაიმეგენი ....................... 4:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ვოლგა-ამკარი ............................ 1:1
კრასნოდარი-ანჟი ...................... 4:0
ტერეკი-ზენიტი .......................... 0:3
სპარტაკი-ყუბანი ....................... 2:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-სელტიკი .................... 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ავსტრია-ზალცბურგი .................. 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

სქანთი-ატრომიტოსი ................... 0:0
ვერია-კერკირა ........................... 2:0
ლევადიაკოსი-აეკი ..................... 0:0
ოლიმპიაკოსი-პაოკი .................. 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ბურსა ....................... 2:0
ტრაბზონი-ანთალია .................... 2:0
ელაზიგი-გენჩლერი .................... 1:1
ფენერბახჩე-აკჰისარი ................ 2:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-ჰრადეც კრალოვე ............. 1:3
ტეპლიცე-სლავია ....................... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-დინამო ............... 0:2
ვოლინი-დნიპრო ........................ 1:1
კრივბასი-მეტალისტი .................. 1:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-რანდერსი ............. 0:2
ოდენსე-ჰორსენსი ...................... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰეკენი-გიოტებორგი .................... 0:3
სირიანსკა-კალმარი ................... 0:3
ჰელსინბორგი-დიურგარდენი ...... 3:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ინდეპენდიენტე-ბოკა ................. 1:1
სან მარტინი-გოდოი ................... 2:3
რაფაელა-უნიონი ....................... 1:0
სან ლორენცო-ოლდ ბოიზი .......... 0:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ტორონტო ........... 109:92
ნიუ იორკი-ბოსტონი ............... 108:89
ჩიკაგო-დეტროიტი ................... 95:94
სან ანტონიო-მაიამი ................ 86:88
ნიუ ორლეანი-კლივლენდი ..... 112:92

### ჩოგბურთი

**ატპ. მაიამი. ფინალი**

მიურეი-ფერერი ............... 2:6;6:4;7:6

**ვტა. მაიამი**

**ფინალი**

უილიამსი!ს.-შარაპოვა .... 4:6;6:3;6:0

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

დალასი-ლოს ანჯელესი .............. 2:3
კოლამბუსი-ანაჰაიმი ............. 2:1(ოტ)
ფილადელფია-ვაშინგტონი .. 5:4(ოტ)
ბუფალო-ბოსტონი ....................... 0:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# რიჩარდ ნორლანდი საკონსტიტუციო სასამართლოს ესტუმრა



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი ეწვია. მას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა უმასპინძლა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იყო, სადაც საუბარი სასამართლოს საქმიანობასა და იმას შეეხო, თუ რა საქმეებითაა ის ამჟამად დაკავებული. მხარეებმა აშშ-საქართველოს შორის სამართლებრივ თანამშრომლობაზეც იმსჯელეს. როგორც პაპუაშვილი აცხადებს, ელჩი პირველად იყო საკონსტიტუციო სასამართლოში.

„ამიტომ გაცნობითი შეხვედრა გვქონდა. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რას საქმიანობს სასამართლო, რა საქმეები აქვს ამჟამად, რა საკითხებია მნიშვნელოვანი, რომელსაც ასევე შეუძლია, ქვეყნის სამართლებრივ და პოლიტიკურ განვითარებაში მიმდინარე პროცესებზე მოახდინოს გავლენა. აშშ-სა და ჩვენს შორის სამართლებრივი თანამშრომლობის კუთხითაც საკმაოდ ახლო ურთიერთობებია. ამიტომ ვისაუბრეთ ამ თანამშრომლობის გაღრმავებასა და ამერიკის უზენაეს სასამართლოსთან შესაძლო თანამშრომლობაზე. მასთან პირადად გვაქვს ურთიერთობები, მაგრამ საელჩოს მონაწილეობაც აუცილებელი იქნება, რათა ეს კონტაქტები უფრო ინტენსიური გახდეს“, –- აღნიშნა გიორგი პაპუაშვილმა და დასძინა, რომ შესაძლოა, ისინი საქართველოს ეწვიონ.

**მედიანიუსი**

# სუპერლიგა დაძაბული ბოლო ტურების მოლოდინშია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მოვასწოროთ და კიდევ უფრო უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ.

**სტუ – თსსუ 90:86**

(27:19; 24:17; 18:24; 21:26)

ამ გუნდებს პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგული აქვთ და გასარკვევი ის აქვთ, თუ რომელი დააღწევს თავს ბოლო ადგილს.

ტექნიკოსებს ამ მატჩამდე მოგება არ ჰქონდათ. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი მედიკოსებმა მოიგეს. ამასთან ერთად, თსსუ-ს თსუ-ც ჰყავს დამარცხებული და ამ შეხვედრაშიც რომ ემარჯვა, თსუ-ს ბოლო ადგილისთვის გაწირავდა. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა მოინდომა და, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მეოთხედში მოპოვებული 19-ქულიანი ლიდერობა ბოლო წუთებზე დათმო, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა.

პირველი ტაიმის შემდეგ სტუ 15 ქულით იგებდა, თუმცა, მესამე მეოთხედიდან რომ დაიწყო, მედიკოსმა ზურაბ მაისურაძემ სამქულიანების ჩაყრა დაიწყო. საბოლოოდ მაისურაძემ 8 სამიანი მიითვალა და ჯამში 31 ქულა დააგროვა. მისი ერთ-ერთი ტყორცნის შემდეგ, საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე თსსუ 78:77 დაწინაურდა. ამ დროს თამაში საკუთარ თავზე გიორგი პირველაშვილმა აიღო, რომელსაც მხარი თანაგუნდელებმაც აუბეს და საბოლოოდ სტუ გამარჯვებამდე მივიდა – 90:86.

ტექნიკოსებს 21 ქულით და 12 მოხსნით პირველაშვილმა ულიდერა, გიგა კვეტენაძემ 16 ქულა მიითვალა, ვაჟა ჯანაშიას ანგარიშზე კი 13 ქულა დაგროვდა. ტურის ბომბარდირი გახდა თსსუ-ელი ზურა მაისურაძე, რომელმაც 31 ქულა მიითვალა, 18 დაუგროვდა ლევან რევაზაშვილს, ხოლო გიორგი გაფრინდაშვილმა პირად ანგარიშზე 17 ქულა და 7 პასი ჩაიწერა.

**გია ტეტელაშვილი (სტუ):**

– ეს იყო სტუდენტური დერბი, სადაც ერთმანეთ თითქმის თანაბარი გუნდები დავუპირისპირდით. მართალია, ეს მოგება ბევრს არაფერს გვიწყვეტს ცხრილში, მაგრამ ამ ბიჭების გამარჯვება დასამახსოვრებელია და მივულოცავ პირველ გამარჯვებას.

**თენგიზ ფიცხელაური (თსსუ):**

– ვფიქრობ, თსუ-სთან გამარჯვების მოპოვების შემდეგ დღეს ბიჭები ზედმეტად თავდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე და ეს შედეგზეც აისახა. ჩვენი წაგება ფარზე ცუდად ასპარეზობამაც განაპირობა.

**ირაკლი ძიძიგური (სტუ):**

– ენთუზიაზმისა და მონდომების ხარჯზე გავიმარჯვეთ. დაგვეხმარა ასევე გამოცდილებს ფაქტორი. იმედია, რომ პირობები გაუმჯობესდება უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდებისთვის. სამედიცინომ კარგად ითამაშა და გამიხარდა, რომ ასეთი ბრძოლა შედგა. კარგია, რომ 1 თამაში მაინც მოვიგეთ, ეს ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

**ილია შიოლაშვილი (თსსუ):**

– ვულოცავ სტუ-ს გუნდს გამარჯვებას. რაც შეგვეხება ჩვენ, ძალიან ცუდად ვითამაშეთ დაცვაში და წავაგეთ ფარი. შედეგად ჩვენმა გუნდმა მარცხი განიცადა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.შსს | 18 | 16 | 21473:1188 | 34 |
| 2.ოლიმპი | 18 | 15 | 31570:1296 | 33 |
| 3.რუსთავი | 19 | 13 | 61627:1408 | 32 |
| 4.არმია | 18 | 13 | 51600:1220 | 31 |
| 5.დინამო | 17 | 11 | 61330:1258 | 28 |
| 6.ქუთაისი | 18 | 10 | 81433:1312 | 28 |
| 7.თსუ | 19 | 6 | 131329:1528 | 25 |
| 8.სოხუმი | 17 | 7 | 101320:1396 | 24 |
| 9.ბათუმი | 18 | 5 | 131257:1473 | 23 |
| 10.თსსუ | 18 | 2 | 161170:1630 | 20 |
| 11.სტუ | 18 | 1 | 171188:1588 | 19 |

# ეროვნული კინოცენტრი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მელთაც ნიშნავს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი.

ეროვნული კინოცენტრის ცნობით, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე მსოფლიო პრემიერის შემდეგ, ზაზა რუსაძის სრულმეტრაჟიანი მხატვრული დებიუტი „ჩემი საბნის ნაკეცი“ და ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გრძელი, ნათელი დღეები“ ახლა უკვე აზიური პრემიერისთვის ემზადება. ორივე დებიუტი ჰონგ კონგის 37-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ახალგაზრდა კინოს კონკურსში მონაწილეობს. ამ კატეგორიაში სულ 8 ფილმი მოხვდა და ახალგაზრდა კინოს კონკურსის მთავარი და კინოკრიტიკოსების საერთაშორისო ფედერაციის პრიზებიც ამ 8 ფილმს შორის გადანაწილდება. ფესტივალის ერთ-ერთ სექციაში წარმოდგენილია თინათინ გურჩიანის დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“. ფილმს საკმაოდ წარმატებული საფესტივალო ცხოვრება აქვს, პირველი სერიოზული წარმატება თინა გურჩიანის დებიუტმა სანდენსის კინოფესტივალზე გამარჯვებით მოიპოვა. ფილმი აგრძელებს საერთაშორისო ფესტივალებზე მოგზაურობას.

– „ჩემი საბნის ნაკეცი“ ატმოსფერული, ხანდახან ფანტასტიკური ფილმია, რომელიც საკმაოდ შორს დგას ბოლოდროინდელი პესიმისტური და ნეორეალისტური ქართული ნამუშევრებისგან, – ასე ახასიათებს ჰონგ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალი ზაზა რუსაძის სადებიუტო ნამუშევარს.

ფილმის ჩვენება 31 მარტს შედგა. გამარჯვებული ფილმების დაჯილდოება კი 2 აპრილს, ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე გაიმართება.

– „გრძელი ნათელი დღეები“: „ეს ხდება თბილისში, სწორედ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირმა ნგრევა განიცადა. ეს არის ისტორია ორი მეგობარი გოგონას და ერის გარდატეხის შესახებ“, – იუწყება ჰონგ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალი.

„გრძელი ნათელი დღეები“, რომელმაც ბერლინალეს ფორუმის სექციის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო, არტ-ჰაუსის კინოთეატრების საერთაშორისო გართიანების „ციკაეს“ პრიზი დაიმსახურა, აზიური პრემიერა უკვე ჰონგ კონგის ფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში გამართა. ფილმი აზიელმა მაყურებელმა 29 და 31 მარტს იხილა.

2-დან 4 აპრილის ჩათვლით, კინოთეატრ „რუსთაველის“ მე-2 დარბაზში გაიმართება იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა – მაკედონიის ფილმების ჩვენება. საზოგადოება ნახავს როგორც კლასიკას, ისე ბოლო წლების საინტერესო ფილმებს. დღეებს გახსნის 1905 წელს ძმებ მანაკების მიერ გადაღებული 15 წუთიანი ფილმების ქრონიკა.

კინოს დღეებს დაესწრება იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა – მაკედონიის კინოფონდის დირექტორი დარკო ბასესკი, დირექტორის მოადგილე დანიელა სტანკოვსკა და ერთ-ერთი ფილმის რეჟისორი ვლადიმერ ბლაჟევსკი. ფილმების ჩვენების ბილეთის ფასია 3 ლარი.

2 აპრილს ნაჩვენები იქნება რეჟისორ ვლადიმერ ბლაჟევსკის ფილმი „პანკი არ მომკვდარა“. ფილმს შარშან გადაეცა მაყურებლის პრიზი, როგორ საუკეთესო ფილმი სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალზე, მან ასევე მიიღო პრიზი კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ამ შავი კომედიის მთავარი პერსონაჟები არიან პანკები, რომლებიც საკუთარი ნებით იქცნენ მარგინალებად მაკედონიის გარდაქმნის მძიმე პერიოდში. მათ ყოველდღიურ პასიურ ცხოვრებას არღვევს არასამთავრობო ორგანიზაციის შემოთავაზება: ხელახლა შეკრიბონ ერთ დროს პოპულარული პანკ ჯგუფი და დაუკრან უჩვეულო „მულტიკულტურულ ლონისძიებაზე“, რომლის მიზანია დახატოს მაკედონიის ყალბი იმიჯი, როგორც ტერიტორიის, სადაც ეთნიკური დაძაბულობა შესუსტებულია.

3 აპრილს წარმოდგენილი იქნება რეჟისორ ათანას გეორგიევის ფილმი „ფული და ქორწინება“. მარკო და ათანასე არიან მეგობრები, რომელთა ცხოვრება უდარდელი იქნებოდა, რომ არა პატარა პრობლემა საბუთებთან დაკავშირებით: მათ ევროკავშირის პასპორტი სჭირდებათ და მზად არიან ყველაფერი გააკეთონ მის საშოვნელად. ისინი მზად არიან ფული გადაიხადონ ფიქტიურ ქორწინებაში. ისინი ეძებენ ქალს, რომელიც თანახმა იქნება ქორწინებაზე და დარჩება მათთან, სანამ ქორწინების აუცილებელი ვადა ამოიწურება. იწყება ოდისეა ვენის იმიგრანტულ სამყაროში.

4 აპრილს რეჟისორი სტოლე პოპოვი წარმოადგენს ფილმს „ტატუ“, სადაც მოქმედება ხდება კომუნიზმის დანგრევის პერიოდში. ფილმი მოგვითხრობს რეჟიმის უაზრობაზე, მისი რეპრესიების და ძალმომრეობის აბსურდულობაზე. მთავარი გმირი ილია ცოლთან ჩხუბის შემდეგ მიდის სახლიდან. ილია თითქოსდა განწირულია წესრიგის დამცველებთან კონფლიქტისთვის. სიმშვიდის ძიებაში, ილია რკინიგზის სადგურზე მიდის, სადაც იგი ორ პოლიციელს ხვდება. პოლიციელებს საეჭვოდ მიაჩნიათ მისი ცარიელი ჩემოდანი და ყოველგვარი აშკარა მიზეზის გარეშე აპატიმრებენ ილიას.

– ფილმების წარმოება მაკედონიაში დაიწყო მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა ძმებმა იანაკი და მილტონ მანაკებმა საზოგადოებას წარუდგინეს 35 მილიმეტრიანი კინოკამერა და საფუძველი ჩაუყარეს კინემატოგრაფს არა მარტო მაკედონიაში, არამედ მთელ ბალკანეთში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო სამოყვარულო გადაღებები. მაკედონიური კინოს პირველი ინსტიტუტი შეიქმნა 1947 წელს, როცა დაარსდა პირველი ეროვნული კინოკომპანია „ვარდარ ფილმი“. ტექნიკური ბაზის გაფართოვებასთან ერთად, კინოწარმოებაც სწრაფად განვითარდა. გაჩნდა ახალი კადრები და დაიხვეწა მათი პროფესიონალიზმი, შეიქმნა ყველა ჟანრის და სტილის ფილმები. დოკუმენტური ჟანრის განვითარება დაიწყო 1948 წელს პირველი დოკუმენტური ფილმით და მას შემდეგ იზრდება. დღეისათვის 500-ზე მეტი ფილმია შექმნილი, რომელთა დიდი ნაწილი მსოფლიო საგანძურშია შესული. 1957 წელს შეიქმნა პირველი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. მას შემდეგ მაკედონიური კინოს მნიშვნელოვანი სეგმენტი სწორედ მოკლემეტრაჟიანი ფილმებია. 70-იან წლებში გაჩნდა ანიმაციური ფილმებიც. მაკედონიური მხატვრული ფილმების პირველ სრულფასოვან ნიმუშად მიიჩნევა ფილმი „ფროსინა“, რომლის რეჟისორია ვოისლავ ნანოვიჩი. პირველი ფერადი მხატვრული ფილმი ეკრანებზე გამოვიდა 1958 წელს. მას შემდეგ შექმნილია 90-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. მაკედონიის კინოფონდი დაარსდა 2006 წელს მაკედონიური კინოწარმოების სრულყოფილი დაფინანსების, მისი კულტურული და ეკონომიკური ასპექტების განვითარების და მაკედონიური კინოს ტრადიციების შენარჩუნების მიზნით. მაკედონიის კინოფონდი სამთავრობო სტრუქტურაა. იგი ოფიციალურად ამოქმედდა 2008 წელს. ფონდი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მჭიდრო პარტნიორია. მათთან თანამშრომლობით 2011 წლის ნოემბერში მაკედონიამ ქართული კინოს დღეებს უმასპინძლა, – აღნიშნულია ეროვნული კინოცენტრის განცხადებაში.

# ნანა ფაჩუაშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტაკლში პარტნიორობას უწევენ გოგა ბარბაქაძე, ნინო კასრაძე, გელა თავბერიძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი და ლევან ხურცია.

– „მაგრიტის შემდეგ“ ტომ სტოპარდის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო პიესაა. მოქმედება ვითარდება ჩვეულებრივ ინგლისურ ოჯახში. პერსონაჟები ახალი დაბრუნებულები არიან ცნობილი ბელგიელი სიურეალისტი მხატვრის რენე მაგრიტის გამოფენიდან. მათ მოულოდნელად სამძებრო პოლიციის ინსპექტორები ფუტი და კონსტებლი ჰოლმსი ეწვევიან. მაყურებელი, მართლაც რომ, სიურეალისტური გამოძიების მოწმე ხდება, – აღნიშნულია რუსთაველის თეატრის განცხადებაში.

ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ნანა ფაჩუაშვილი სხვადასხვა წლებში არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია. იგი არის საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის მფლობელი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მფლობელი, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის მფლობელი, მიენიჭა თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის ჯილდო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის სპექტაკლში „დილა მშვიდობისა ასდოლარიანო“.

ამჟამად ნანა ფაჩუაშვილი თეატრის ათონელზე ხელმძღვანელია, პარალელურად კი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ნინო კურატაშვილთან, ნინო ზაუტაშვილთან და სალომე დადუნაშვილთან ერთად გადაცემა „სამოთხის ვაშლების“ წამყვანია.

**ნანა ფაჩუაშვილი, მსახიობი:**

– მსახიობი სწორედ ამ დღისთვის იღწვის, მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელად შრომობს, რომ მაყურებლის აღიარება მოიპოვოს. იმიტომ არა, რომ დააფასონ, უბრალოდ, მაყურებლის სიყვარული რომ მოიპოვოს და ეს სიყვარული დღეს ნამდვილად ვიგრძენი და დიდი მადლობა თითოეულ მათგანს ასეთი სითბოსა და სიყვარულისთვის.

**გოჩა კაპანაძე, რეჟისორი:**

– ნანა საოცრად კარგი მსახიობია, რომელიც არასოდეს იღლება, სულ შეუძლია მუშაობა. ის არასოდეს ამბობს „არ შემიძლია“. ყოველთვის მზად არის მუშაობისთვის, სულ ფორმაშია და ცდილობს მაქსიმუმი აჩვენოს სცენაზე. ნახევარი საუკუნე ცოტა ნამდვილად არ არის, მიხარია, რომ მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნეს და ვულოცავ ამ წარმატებას სულით და გულით.

**ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი:**

– ნანა ფაჩუაშვილი გაჩერებული არავის უნახავს. ის სულ მუშაობს. თუ რუსთაველის თეატრში არ არის დაკავებული, მაშინ სხვა თეატრში ქმნის ახალ როლებს. ჩვენ 50 წელია ერთად მოვდივართ, ნახევარი საუკუნე ამ თეატრში გავატარეთ და ეს უდიდესი ბედნიერებაა. მისი სიხარული ჩვენი სიხარულია. ვულოცავ მას ამ დიდ აღიარებას და კიდევ არაერთ წარმატებას ვუსურვებ.

**კახი კავსაძე, მსახიობი:**

– ნანა არის საოცრად კარგი ადამიანი, თავისი არანორმალური თავდადებით და შრომით ბევრი გაუოცებია. ის თეატრში უზომოდ არის შეყვარებული და ნამდვილად მიხარია მისი ვარსკვლავის გახსნა. ვულოცავ და მისი ბედნიერების გამზიარებელი ვარ.

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. კასპის ზღვის ძველი სახელწოდება; 2. გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანი; 3. თეთრი ფერის, მშრალი გერმანული სამარკო ღვინო; 4. ხელოვნური მიკროკლიმატის მქონე აპარატი, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს; 5. ქალაქი სამეგრელოში; 8. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 12. ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებათა გამომუშავება და გამოყოფა ჯირკვლების მიერ; 13. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 16. ფართოფარფლიანი მექსიკური ქუდი; 17. ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 19. მონასტერი სამაჩაბლოში; 20. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

**თარაზულად:** 6. მთიანეთი ავღანეთში; 7. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 8. საქარგავი ფერადი ძაფი; 10. რუსული ლუდი; 11. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 14. ირლანდიური ჯინი; 15. თვალის ექიმი; 18. პოლონელი პიანისტი, კომპოზიტორი; 21. შავი ზღვის ზვიგენი; 22. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 23. თავდავიწყებით გატაცება რაიმეთი; 24. კამათლის მოთამაშე ფულზე.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ბალზაკი; 5. დიანა; 7. დეკოლტე; 9. ტეტროდი; 10. ალქიმია; 13. ტექნიკა; 14. გოფერი; 15. სერი; 19. ეგვტერი; 20. ალუვიური; 21. ვიზიტიორი; 22. ლივერი.

**შვეულად:** 1. ბარტყი; 2. ზვირთი; 3. დეკაგონი; 4. სტილბი; 6. ნოვატორი; 8. ადეპტი; 11. კონგრესი; 12. კენგურუ; 16. სესხი; 17. პლატო; 18. კოლტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ისარნა; 2. რუსი; 3. საია; 4. იკაროსი; 5. სე; 6. ლუმბაგო; 7. ფიალა; 8. აისი; 9. ალიანსი; 10. ანა; 11. აგუტი; 12. აგა; 13. ნასა; 14. მთვარე; 15. ალმასი; 16. არადუ; 17. დარი; 18. ქართუ; 19. ზიანი; 20. რადა; 21. შარბათი; 22. რული; 23. იკორთა; 24. ონორე; 25. ნო; 26. სეკრეცია; 27. ილი; 28. რაშკული; 29. შორაპანი; 30. ღანძილი; 31. პარ; 32. ბაირაღი.

**სურათებზე:** იზაბელ იუპერი; ხოსე მარია გუტი.

# სეული ფხენიანის აგრესიას უპასუხოდ არ დატოვებს

სამხრეთ კორეის განცხადებით, ქვეყანა ჩრდილოეთ კორეის აგრესიას „პასუხს გასცემს“.

აღნიშნულის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა პაკ კინ ხემ ქვეყნის თავდაცვის უწყების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

შეგახსენებთ ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა სტრატეგიული რაკეტების მომზადების ბრძანება გასცა, რომელიც ამერიკისა და სამხრეთ კორეის მიმართულებით იქნება დამიზნებული. პარალელურად ჩრდილოეთ კორეის ყველა ქალაქში



იმართება მრავალათასიანი მიტინგები მოთხოვნით მიიტანონ იერიში აშშ-სა და სამხრეთ კორეაზე.

პარასკევს, ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ ფხენიანსა და სეულს შორის „ომის მდგომარეობაა“. ცოტა ხნის წინ ამერიკამ სამხრეთ კორეაში, როგორც ამერიკის თავდაცვის უწყების წარმომადგენლები აცხადებენ, წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად, ბომბდამშენები გააგზავნა.

„სამხრეთ კორეის მისამართით ნებისმიერი პროვოკაციას გადამწყვეტ საბრძოლო პასუხს გაცემთ“-განაცხადა სამხრეთ კორეის ქალმა პრეზიდენტმა.

ქვეყნის გაღიზიანებას ძირითადად კორეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე წვრთნებში ამერიკის მონაწილეობა იწვევს. რეგიონში მდგომარეობა განსაკუთრებით ჩრდილოეთ კორეის მიერ მესამე ბირთვული ცდის ჩატარების შემდგომ დაიძაბა, რასთან დაკავშირებითაც გაეროს უშიშროების საბჭომ ქვეყნის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები შემოიღო.

## საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის განცხადება

ფედერაციაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა ფინანსური ვალდებულებების გამო ბიზნესმენთა ფედერაცია მიმართავს თავის დამფუძნებლებს, წევრ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მაქსიმალურად მოახდინონ რესურსების მობილიზება და დაეხმარონ ფედერაციას ვალდებულებების შესრულებაში.

**საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია**

## სამგლოვიარო განცხადებები

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები მწუხარებით ვიუწყებით, რომ ანდროლოგიური დეპარტამენტის განყოფილების გამგეს, ექიმ-ანდროლოგ ივანე კაპანაძეს გარდაეცვალა დედა, ქალბატონი

**ელენე (დოდო) კაპანაძე**

თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.



მეუღლე მერი კევლიშვილი, შვილები მანანა, დავითი, ძმები ჯიმშერი, მურადი, სიძე ჯემალ ბაღათურია, რძლები ანა გაგუა, ლიუდმილა, ნატო, რუსუდან ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ომარ (არსენ) ანჯაფარიძე**

პანაშვიდი: 2, 3 აპრილს, 17 საათზე, ოთარ ჩხეიძის ქ.№12, VII სართული, ბინა 18 (შანხაი).

გამოსვენება: 4 აპრილს, 15 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

ქ.სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის I საშუალო სკოლის 1962 წლის გამოშვების თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელისა და ღირსეული მოქალაქის

**ომარ (არსენა) შალვას ძე ანჯაფარიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ნათელში იყოს მისი სული.

მერაბ დგებუაძე, რევაზ გერგედავა ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მურად და ჯიმი ანჯაფარიძეებს ძმის

**ომარ ანჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მურად ანჯაფარიძეს ძმის

**ომარ ანჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მოლდოვაში ახალშობილები ავტომატურად რუმინეთის მოქალაქეებიც გახდებიან



რუმინეთში საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელება იგეგმება, რომლის მიხედვითაც მოლდოვას ყველა მოქალაქე ავტომატურად რუმინეთის მოქალაქეთაც ჩაითვლება.

როგორც „კომერსანტ მოლდოვა“ იუწყება, კანონპროექტის ავტორი რუმინელი დეპუტატი ოვიდუ იანეა.

მისი განცხადებით, ახალი კანონპროექტი მოლდოვას მოსახლეობას საშუალებას მისცემს რუმინეთის მოქალაქეობის მიღების გრძელვადიანი პროცედურა თავიდან აიცილონ.

მოლდოვამ 1991 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში. იმავე წელს დნესტრისპირეთის სლავურმა მოსახლეობამ გამოაცხადა დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკა, რომელთა სტატუსზე დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. 1994 წელს მოლდოვის პარლამენტმა მიიღო კანონი გაგაუზიის ტერიტორიული ავტონომიის შესახებ.

თანამედროვე მოლდოვის კულტურულ ტრადიციებში ძალიან მნიშვნელოვანია კლასიკური რუმინული კულტურის ზეგავლენა, რაც აიხსნება მოსახლეობის უმრავლესობის რუმინული წარმოშობით.

# „სანდი თაიმსი“: „ბერეზოვსკი 300 მილიონ დოლარს ელოდა“



ექსპერტიზის მონაცემებით, ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზი ჩამოხრჩობა იყო, მაგრამ ძალადობისა და ბრძოლის კვალი მის ცხედარზე აღმოჩენილი არ არის. გაზეთი „სანდი თაიმსი“ იუწყება, რომ ბორის ბერეზოვსკის, რომლიც 23 მარტს გარდაცვლილი იპოვეს რამდენიმე ოფშორულ ფონდში თავისი აქტივების გაყიდვის შედეგად მსხვილ თანხას, დაახლოებით 300 მილიონ დოლარს ელოდებოდა. დოკუმენტაცია ამ ფინანსური ოპერაციების შესახებ გაზეთს ჩაუვარდა ხელში.

გაზეთი ასევე იუწყება, რომ ეს დოკუმენტაცია და ახალი ამბავი, რომელიც ბერეზოვსკის ფინანსებს ეხება, ინტრიგას მატებს ყოფილი მილიარდერის გარდაცვალების გარემოებას. ამავე დროს, გამოძიება, გაზეთის ინფორმაციით, არ გამორიცხავს ოლიგარქის მკვლელობის ძალადობრივ ვერსიას. ძალადობრივი მკვლელობის ვერსია კი სრულიად მხოლოდ მაშინ იქნება გამორიცხული რაც ყველა აუცილებელი ანალიზი ჩატარდება.

აღსანიშნავია, რომ ბერეზოვსკს სახლის ირგვლივ კვლავ დაცვაა და ეს მანამ იქნება ასე ვიდრე კრიმინალისტები სამუშაოს ბოლომდე არ დაასრულებენ.

როგორც ცნობილია, ოლიგარქს პოლიტიკური თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში ჰქონდა მოპოვებული. იგი 23 მარტს ბერქშირის საგრაფოში, საკუთარი სახლის აბაზანაში გარდაცვლილი იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, გასული წლის აგვისტოში რომან აბრამოვიჩთან წაგებული სასამართლო პროცესის შემდეგ ბერეზოვსკის ფინანსური პრობლემები ჰქონდა და დათრგუნული იყო.

„გარდიანი“ ვარაუდობს, რომ ბორის ბერეზოვსკის ექვს კვირაზე ადრე ვერ დაკრძალავენ, ამ დროისთვის პოლიცია ექსპერტიზის დასკვნას დაასრულებს და სხეულს ახლობლებს გადასცემს.

ოლიგარქის დაკრძალვის ადგილი ჯერჯერობით უცნობია. რუსეთის მთავრობა არ გამორიცხავს, რომ რუსეთიდან 2000 წელს გაქცეული ბერეზოვსკის ცხედარი სამშობლოში დაკრძალონ. გარდაცვლილის მეგობრები კი ვარაუდობენ, რომ მან შესაძლოა, უკანასკნელი განსასვენებელი ლონდონის ან ისრაელის ტერიტორიაზე ჰპოვოს.

ბერეზოვსკის გარდაცვალების შესახებ ცნობილი 23 მარტის ღამეს გახდა. მისი სხეული იატაკზე, შიგნიდან ჩაკეტილ აბაზანაში იპოვეს. მას ერთადერთი მცველი იცავდა. სკოტლანდ-იარდმა სამშაბათს ცხედრის გაკვეთის ოფიციალური შედეგები გამოაქვეყნა — სპეციალისტებმა ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს.

# ირანმა ბაქოში სამხრეთ აზერბაიჯანის მომავლის განხილვა გააპროტესტა



აზერბაიჯანის დედაქალაქში 30 მარტს „თანამედროვე სამხრეთ აზერბაიჯანის მომავლის“ შესახებ კონფერენციის გამართვასთან დაკავშირებით თეირანმა ბაქოს ოფიციალური საპროტესტო ნოტა გადასცა. აღნიშნულის შესახებ სააგენტო 1ნიუსი იუწყება.

საპროტესტო ნოტა თეირანში მდებარე აზერბაიჯანის საელჩოს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აბას არაგჩი გადასცა. მასში საუბარია, რომ ირანი შეშფოთებულია ბაქოში ჩატარებული კონფერენციით და კონფერენციის მსვლელობის დროს გაკეთებული განცხადებებით.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის პარლამენტის შემდეგ „ჩრდილოეთ აზერბაიჯანის“ (თანამედროვე აზერბაიჯანის) და „სამხრეთ აზერბაიჯანის“ (ირანის აზერბაიჯანის) გაერთიანებაზე ცოტა ხნის წინ აშშ-ის კონგრესშიც ალაპარაკდნენ. კონგრესმენ დეინ რორაბახერმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს წერილი მიწერა. წერილში იგი სთხოვს, რომ მხარი დაუჭიროს „სამხრეთ აზერბაიჯანის“ დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებებს.

აზერბაიჯანული სააგენტო „თურანის“ აზრით, კონგრესმენის ასეთი განცხადება გამოწვეულია აზერბაიჯანის და ისრაელის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებით. კონგრესმენის თქმით, აშშ-მა ასეთ შეთანხმებებს მხარი უნდა დაუჭიროს, რადგან ეს ირანის ტირანიის წინააღმდეგ არის მიმართული. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანმა არაერთხელ განაცხადა, რომ სამხედრო ტექნიკას ისრაელისგან ირანთან საბრძოლველად არ ყიდულობს. მას შეიარაღება ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ჭირდება.

„ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა სსრკ-სგან 1991 წელს მიიღო. დრო მოვიდა სამხრეთ აზერბაიჯანმაც მოიპოვოს ირანისგან დამოუკიდებლობა“ — ნათქვამია კონგრესმენ დეინ რორაბახერის სახელმწიფო მდივნისადმი მიწერილ წერილში.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 2 აპრილი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „ხმა წარსულიდან„ 21.00 ტ/სერ „როსელა„ 22.00 დ/ფ „ფეხბურთის მეამბოხენი„ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი: (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა„ 00.30 მხ/ფ „დაუპატიჟებელი სტუმრები„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 8 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 8 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 9 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 6 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 დოკ/ფ „მოდის ფანატიკოსები„ 16.00 სერ.„დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ახალი საბავშვო ხმა 00.15 მხ/ფ „სულების სახლი„ (მ.სტრიპი) 02.55 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 22.40 ჩემპიონთა ლიგა. 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.15 სპექტაკლი „აკაკი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 დოკ/ფ „ეპიზოდი,როგორც მთავარი„ 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „მაგდანას ლურჯა„ 13.20 კონცერტი - სამი ტენორი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 კონცერტი-ანა-სოფია მუთერი 16.55 საღვთისმსახურო წელიწადი 17.15 დოკ/ფ „ჩუპჩიკა„ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დოკ/ფ „პოდმანიე„ 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ჩვენი ფონდი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ „საქართველოს ისტორია„ 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.40 კარაბადინი

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6577

ევრო — 2,1245

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5189

100 რუსული რუბლი — 5,3331

## ამინდის პროგნოზი 2 აპრილისთვის




# ნანა ფაჩუაშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი




რუსთაველის თეატრის მსახიობს ნანა ფაჩუაშვილს მშობლიური თეატრის წინ საზეიმო ვითარებაში ვარსკვლავი გაუხსნეს. ამავე დღეს გაიმართა მსახიობის ბენეფისიც. მსახიობმა ნახევარი საუკუნე გაატარა სცენაზე და 100-ზე მეტი როლი შეასრულა.

– რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის ნანა ფაჩუაშვილის ბენეფისი და ვარსკვლავის გახსნა, რომელიც რამდენიმე ღონისძიებას მოიცავდა. ვარსკვლავის გახსნამდე შედგა წიგნის პრეზენტაცია ,,მე და ჩემი რეჟისორები", რომლის ავტორია მანანა თევზაძე. წიგნი გამოიცა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით, მეორე ნაწილი კი უკვე ბენეფისი აღმოჩნდა, სადაც წარმოდგენილ იქნა ნაწყვეტები ნანა ფაჩუაშვილის სპექტაკლებიდან ,,დარისპანის გასაჭირი" - რუსთაველის თეატრი (რეჟისორი რობერტ სტურუა), ,,აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" - რუსთაველის თეატრი (რეჟისორი გოგა თავაძე), „მილიონერის ვიზიტი" - ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი (რეჟისორი დათო ანდღულაძე) და „გამარჯობა 100 დოლარიანო" - თეატრი ათონელზე (რეჟისორი ქეთი დოლიძე), – ითქვა საიუბილეო საღამოზე.

ნანა ფაჩუაშვილს ბენეფისზე პარტნიორობას უწევდნენ ნინელი ჭანკვეტაძე და ნუგზარ რუხაძე, ასევე რუსთაველის თეატრის მსახიობები ნინო კასრაძე, ზაზა პაპუაშვილი, დათო პაპუაშვილი და მარი ჯანაშია. საღამოს რეჟისურა ნიკა შველიძემ ითავა. ნაჩვენები იქნა ნანა ფაჩუაშვილის როლების ვიდეო კოლაჟიც. ბენეფისის თანადამფინანსებელია თბილისის მერია, რომელმაც მსახიობი დააჯილდოვა საპატიო წოდებით „ქართული კულტურის ამაგდარი". ღონისძიების მესამე ნაწილი აღმოჩნდა ნანა ფაჩუაშვილის სახელობის ვარსკვლავის გახსნა რუსთაველის თეატრის წინ, ხოლო დასკვნით აკორდად წარმოდგენილ იქნა რუსთაველის თეატრის ძველი ტრადიცია – ქიმერიონში გაიმართა საზეიმო მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებს ასაკს არ ეკითხებიან, ნანა ფაჩუაშვილის შემთხვევაში მისი ასაკი ცნობილია. მსახიობი 70 წლისაა. უნდა ვაღიაროთ, რომ მსახიობს ასაკი ნამდვილად არ ეტყობა და მშვენივრად გამოიყურება. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მან მუშაობა რუსთაველის თეატრში დაიწყო, სადაც განახორციელა არაერთი დასამახსოვრებელი როლი. მშობლიური თეატრის გარდა, მსახიობმა იმუშავა თეატრალურ სარდაფში, სადაც მონაწილეობდა სპექტაკლებში „სიკვდილის როკვა" და „მედეა". ახმეტელის თეატრში კი დავით ანდღულაძის სპექტაკლში ,,მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი" კლარას პერსონაჟი განასახიერა. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი როლი რუსთაველის თეატრში არის ტომ სტოპარდის პიესის მიხედვით გოგა თავაძის მიერ ერთმოქმედებიან კომიკურ დეტექტივში შესრულებული როლი, რომელიც რეჟისორმა ლაშა ბუღაძის თარგმანის მიხედვით დადგა. სპექტაკლის მხატვარია მირიან შველიძე, რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა, ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე, მუსიკალური გაფორმება კი ია საკანდელიძესა და გიორგი თავაძეს ეკუთვნით. ნანა ფაჩუაშვილს სპექ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# უეფამ ევროპის ჩემპიონატის ახალი ფორმატი დაამტკიცა

როგორც ცნობილია, 2020 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა საქართველოს ჯერ აზერბაიჯანთან ერთად სურდა, შემდეგ – მარტო, თუმცა საბოლოო განაცხადი მაინც არ შეიტანა. აზრიც არ ჰქონდა – სოფიაში უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ევროპის ჩემპიონატის 2020 წლის მატჩების ერთდროულად 13 ქალაქში გამართვის შესახებ იმსჯელა და განაცხადების წარდგენის წესები დაამტკიცა. როგორც მოსალოდნელი იყო, ტურნირის ფინალური ეტაპი 13 პაკეტად იქნება დაყოფილი. მატჩები 12 სტადიონზე გაიმართება. თითოეულ მოედანზე ჯგუფური ეტაპის 3 თამაში და ერთი პლეიოფის მატჩი შედგება, მე-13 მოედანზე კი ნახევარფინალური შეხვედრები და ფინალი გაიმართება.

თითოეულ ასოციაციას ორი განაცხადის წარმოდგენა შეუძლია: პირველი სტანდარტული პაკეტი და მეორე განაცხადი სტადიონზე ფინალური მატჩების მასპინძლობისთვის. ქვეყნებს ასევე შეუძლიათ წარმოადგინონ თხოვნა, რომ მატჩებს იმავე ქვეყნის სხვა ქალაქებმაც უმასპინძლონ. განაცხადში უნდა შევიდეს სტადიონის გეგმაც, რომლის მშენებლობა 2016 წელს აუცილებლად უნდა დასრულდეს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ვერ მოასწრებს მშენებლობის დასრულებას, უეფა იტოვებს უფლებას, სხვა ქვეყნით ჩაანაცვლოს.

აღმასრულებელი კომიტეტი ხმის მიცემის პროცედურასაც დაამტკიცებს, რომელიც ყველა ევროპული ქვეყნის კანდიდატურას განიხილავს.

რაც შეეხება საარჩევნო პროცესს, ის შემდეგ ვადებში განხორციელდება: 2013 წლის 26 აპრილს განაცხადების მიღების წესები და პირობები გამოქვეყნდება, განაცხადების შეტანაც ამ დღესვე დაიწყება; 2013 წლის 11 სექტემბერს წარდგენილი განაცხადები ოფიციალურად უნდა დადასტურდეს; 2014 წლის 25 აპრილს მოხდება ყველა განაცხადის განხილვა; 2014 წლის მაისიდან აგვისტომდე უეფა ეწვევა ყველა ქვეყანას და განაცხადებს შეისწავლის; 2014 წლის სექტემბერში იმ ქალაქების სახელწოდება ცნობილი გახდება, რომლებიც უმასპინძლებენ ევროპის ჩემპიონატს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ასტროპროგნოზი 2 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

მშვენიერი დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** — მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება მე-19 საუკუნის საქართველოში; 2. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს" შტაბ-ბინა; 3. ოსმალთა სახელწოდება ევროპაში; 4. ქრისტიანული სამლოცველო, ეკლესია; 5. დამუხტული ელექტრონული ნაწილაკების მოძრაობის ამაჩქარებელი რეაქტორი; 10. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 11. პოპულარული პარკი თბილისში; 12. ქართველ ქალთა თავსაბურველი; 13. აეროპორტი ბუქარესტში; 16. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 17. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 19. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 21. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. ბელინის ოპერა.

**თარაზულად:** 6. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებაში; 7. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 14. სიმღერის შესრულების იტალიური მანერა; 15. ეკლესიის მნათეს ძველებური სახელწოდება; 18. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი; 20. გადასახდელ სახურავიანი ძველებური ეტლი; 22. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 25. მსხლის ქართული ჯიში; 26. თურქული აბანო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ისრაელმა აშშ-ს ებრაელების რაოდენობით პირველად გაუსწრო

2013 წლის დასაწყისში ისრაელი გახდა ქვეყანა, რომელშიც უფრო მეტი ებრაელი ცხოვრობს, ვიდრე აშშ-ში.

ისრაელში მაცხოვრებელი ებრაელების საერთო რაოდენობამ 6 მლნ ადამიანს გადააჭარბა, მაშინ როცა აშშ-ში ხუთ



ნახევარ მლნ-ზე მეტი ცხოვრობს, აქედან ორი მილიონი – ქალაქ ნიუ-იორკში და მის შემოგარენში.

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ინფორმაციით, სულ მსოფლიოში 13,8 მლნ ებრაელია, ამასთან მათი რაოდენობა უცხოეთში თანდათანობით მცირდება.

სულ ისრაელში დაახლოებით 7 მლნ ადამიანი ცხოვრობს. რაოდენობით მოსახლეობის მეორე ჯგუფი – არაბები (1,6 მლნ) არიან, მესამე კი – აღმოსავლური წარმოშობის ქრისტიანები არიან.

დიდი ხნის განმავლობაში აშშ ისრაელს ებრაელების რაოდენობით უსწრებდა, მაგრამ ემიგრანტების მუდმივმა ნაკადმა და მაღალმა შობადობამ სურათი შეცვალა.

ცნობისთვის, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, ისრაელის ეკონომიკა სიდიდით 44-ეა მსოფლიოში. ჰუმანური განვითარებით, პრესის თავისუფლებითა და ეკონომიკური კონკურენტულობით ისრაელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რანგით პირველია. იერუსალიმი ქვეყნის პოლიტიკური დედაქალაქია და ქვეყნის უდიდესი ქალაქია, ხოლო თელ-ავივი – ეკონომიკური ცენტრი.

გ. მ.

# სოფო ნიჟარაძე სასამართლოში ჩივის

ეკა ირემაშვილი

**მომღერალი სოფო ნიჟარაძე სასამართლოში ჩივის და ჟურნალისტს ცილისწამებაში ადანაშაულებს. როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე მომღერალმა ჟურნალისტებს განუცხადა, საუბარია ჟურნალ „რეიტინგში" გამოქვეყნებულ სტატიაზე, სადაც მისი პირადი ცხოვრება ვრცლად და, რაც მთავარია, არასწორად არის განხილული.**



მომღერლის თქმით, სტატიაში მოყვანილ ფაქტებს რეალობასთან კავშირი არ აქვს და ეს ცილისწამებაა. სოფო ნიჟარაძემ ადვოკატ გოგიტა გაბაიძესთან ერთად ჟურნალისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო, ამიტომ გადაწყვიტა, სასამართლოს მიმართოს. უახლოეს დღეებში მომღერალი სასამართლოში საჩივარს შეიტანს და მორალური ზიანისთვის კომპენსაციასაც მოითხოვს.

ცნობილია, რომ სოფო ნიჟარაძე ჟურნალისტებს არ სწყალობს და მის ინტერვიუს თითქმის ვერსად ნახავთ. მომღერალს არ უყვარს მასმედიისთვის შეკითხვებზე პასუხის გაცემა, ამიტომ, ის მიუწვდომელ რესპონდენტად ითვლება.

მომღერლის უფლებებს ადვოკატი გოგიტა გაბაიძე დაიცავს. გოგიტა გაბაიძის თქმით, სარჩელი უახლოეს დღეებში მომზადდება და სასამართლოს წარედგინება.

**სოფო ნიჟარაძე, მომღერალი:**

– სწორედ იმიტომ, რომ აქამდე ხმას არ ვიღებდი და არ ვპასუხობდი ასეთ სტატიებს, თავს გავიდნენ მსგავსი ჟურნალები და ყოველგვარ ზღვარს გასცდა ის, რასაც აკეთებენ. სრულიად სიცრუეს ავრცელებენ და სწორედ ეს სიცრუე გახდა უმთავრესი საშუალება მათი ჟურნალის გაყიდვის. ყველა ეპიზოდი, რაც ამ ჟურნალის მიერ დაბეჭდილ სტატიაში არის აღწერილი, არის სიცრუე და არც ერთი სიტყვა სიმართლეს არ შეესაბამება. მე მაქვს ჩემი სიმართლე, რომელიც არის ნამდვილი სიმართლე და სწორედ ამიტომ მივდივარ ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად სასამართლოში.

***– რას მოახმართ მიღებულ ფულად კომპენსაციას?***

– მორალური ზიანისთვის განკუთვნილ თანხას ქველმოქმედებას მოვახმარ.

**გოგიტა გაბაიძე, სოფო ნიჟარაძის ადვოკატი:**

– 2013 წლის 25 მარტს ჟურნალ „რეიტინგში" გამოქვეყნდა შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური სტატია, რომელიც სოფო ნიჟარაძეს ეხებოდა. ჟურნალისტმა გვარად მელაძემ გაავრცელა ცნობები, რომელიც ყოველგვარ მტკიცებულებას მოკლებულია. ჟურნალისტის აღნიშნული საქციელი გასცდა ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოს. ვიმყოფებოდი ჟურნალ „რეიტინგის" რედაქტორთან, მინდოდა ეს საკითხი მოგვარებულიყო სასამართლოს გარეშე და ჟურნალს გაეკეთებინა ის, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, იგივე ფორმით უარყოფა გაეკეთებინა აღნიშნული ჭორების და ამავე დროს მომხდარიყო ზარალის ანაზღაურებაც. მაგრამ „რეიტინგმა" განაცხადა, რომ ისინი რაღაც ფორმით სტატიას დაბეჭდავენ და უარყოფენ, თუმცა ბოდიშს ვერ მოიხდიან, რადგან ასეთი რამ ხშირად ხდება და სხვა ჟურნალისტებსაც დაუბეჭდავთ თურმე სტატიები და სოფო ნიჟარაძეს ამასთან დაკავშირებით არანაირი რეაგირება არ გაუკეთებია. რადგან ჟურნალი ბოდიშის მოხდას არ აპირებს, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, მივმართოთ სასამართლოს.

***– რა სახის სარჩელს ამზადებთ?***

– სასარჩელო მოთხოვნა იქნება, რომ იგივე ფორმით მოხდეს უარყოფა და ბოდიშის მოხდა. ასევე კიდევ ერთი სასარჩელო მოთხოვნა იქნება მორალური ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობაც შეთანხმების შედეგად დადგინდება.